საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 22 მაისი, 2013 წელი.

№93 (7220)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სამართალმა პურის ჭამა დაიწყო!..

ჟამი ქარიშხლის მკისა

ვანო მერაბიშვილს 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება!..

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის დაკავებასთან დაკავშირებით მთავარი პროკურატურა განცხადებას ავრცელებს.

პროკურატურის განცხადებას „ივერონი“ უცვლელად გთავაზობთ:

„უნდა გაცნობოთ, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოს პროკურატურა აწარმოებდა კომპლექსურ ღონისძიებებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის მიერ უმაღლეს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ადამიანისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი დანაშაულებრივი მოქმედების ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების მიზნით.

დანაშაულების ჩადენის ადგილის, სიმძიმისა და საქმეების სირთულის მიხედვით, გამოძიების წარმართვაში ჩართული იყვნენ როგორც პროკურატურის ტერიტორიული ორგანოები, ასევე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი.

ამ ეტაპზე შეგვიძლია გახსნილად გამოვაცხადოთ ივანე მერაბიშვილის კორუფციული საქმიანობის ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელთაგან პირველი საყურადღებო და პრიორიტეტულია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ჩადენილია ამ უკანასკნელის საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის დროს.

შევეცდებით, მოკლედ და საზოგადოებისთვის გასაგებად აღვწეროთ მითითებული დანაშაულების შინაარსი და სახელმწიფოსათვის დამდგარი შედეგები.

ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოძიების პროცესში უკვე მოპოვებულია დაახლოებით ასეულობით ერთმანეთთან შეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასკვნისათვის, რომ ივანე მერაბიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1641, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

იხ. 2 გვ.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჟამი ქარიშხლის მკისა

ვანო მერაბიშვილს 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება!..

(პირველი გვერდიდან)

ეპიზოდი პირველი:

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის„ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის, აგრეთვე სახელმწიფო სახსრებით დასახელებული პარტიის შენიღბული და ფარული დაფინანსების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან და სხვა პირებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა თვალთმაქცური ოპერაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოში უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 5,2 მლნ ლარი უკანონოდ ჩაერიცხა დაახლოებით 22 ათას პირს, თითოეულს 240 ლარის ოდენობით. მითითებული პირები მოჩვენებითად გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში, მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მიიღეს მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემისა და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ. ამრიგად, ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფომ იზარალა 5,2 მლნ ლარი.

ეპიზოდი მეორე:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ივანე მერაბიშვილს დასვენებისთვის მოეწონა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კვარიათში ზღვის პირას მდებარე, შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფეშენებელური აგარაკი და, 2009 წლის მაისში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაიკავა იგი და, ოჯახთან ერთად, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ სარგებლობდა ამ ქონებით. მანვე, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და სხვისი აგარაკის საკუთარი ოჯახის წევრების გემოვნებით მოწყობის მიზნით, გაარემონტა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებით. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ივანე მერაბიშვილის მიერ გამოყენებულ იქნა საიდუმლო ხარჯები, რომლითაც, კანონის თანახმად, უნდა დაფინანსებულიყო დანაშაულთან ბრძოლისათვის გათვალისწინებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები. მისივე განკარგულებით, სამინისტროს ბიუჯეტიდან იფარებოდა აგარაკზე მომუშავე დამხმარე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებაც. შედეგად, სახელმწიფოს მიადგა 158 ათასი ლარის ზიანი.

ივანე მერაბიშვილი დაკავებულია.

მისთვის ინკრიმინირებული მოქმედება ითვალისწინებს 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. საქართველოს პროკურატურა სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, რადგან არსებობს უტყუარი მასალები, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.

იმავდროულად, უნდა განვაცხადოთ, რომ, ფაქტობრივად, დასრულებულია გამოძიება კიდევ ორ ეპიზოდზე, კერძოდ, პირველი შეეხება 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის დაშლის დროს, ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებით, ორგანიზებითა და პირადი კონტროლით, საპოლიციო ქვედანაყოფების მიერ მშვიდობიანი, ალყაშემორტყმული მოქალაქეების წინააღმდეგ აშკარად არათანაზომიერი, არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალის განზრახ გამოყენებას, რის შედეგადაც გარდაიცვალა ორი და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანები მიიღო მრავალმა ადამიანმა.

მეორე ეპიზოდი უკავშირდება უკანასკნელი წლების ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანის მკვლელობის საქმეს, რომლის დეტალური და ეფექტური გამოძიებით პროკურატურის მიერ, პრაქტიკულად, სრული სიზუსტით აღდგენილია შემთხვევის ვითარება, დადგენილია მასში მონაწილე ყველა პირი, გარკვეულია დანაშაულის რეალური მოტივი, მისი ორგანიზატორები და ამსრულებლები.

შეგროვებული მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ სწორედ ივანე მერაბიშვილმა, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, საკუთარი მეუღლის თამარ (თაკო) სალაყაიას, აგრეთვე, სხვა მასთან დაახლოებული პირების მომხდარი დანაშაულისაგან ხელოვნურად განრიდების მიზნით, უზრუნველყო მოცემულ საქმეზე უკანონო, ფალსიფიცირებული სამართალწარმოების განხორციელება და შეგნებულად შეუშალა ხელი ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას.

უახლოეს პერიოდში ივანე მერაბიშვილს ზემოაღნიშნულ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით წარედგინება დამატებითი ბრალდება, ხოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება სრულყოფილი ინფორმაცია გამოძიების შედეგების თაობაზე.

ივანე მერაბიშვილთან ერთად დაკავებულია საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ დიპლომატიაც ასეთი უნდა!

სააკაშვილი უცხოეთში ანტიქართულ პროპაგანდას ეწევა

საძართველოს პრეზიდენტი უმრავლესობას მასთან ერთად ვიზიტებში გაყოლას სთავაზობს. როგორც წესი, მიხეილ სააკაშვილის საჯარო განცხადებები რადიკალურად განსხვავდება პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის ქმედებებისგან. შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ შენიშვნას არ ღებულობს, ვინაიდან, მიხეილ სააკაშვილი არ თანამშრომლობს ქვეყნის საგარეო უწყებასთან. შესაბამისად, მაია ფანჯიკიძის უწყებაში არ ფლობენ ინფორმაციას, რა შეხვედრებს მართავს ქვეყნის პირველი პირი და რა მიზანს ემსახურება მისი გახშირებული ვიზიტები.

მეტიც, სააკაშვილის ვიზიტების შესახებ ინფორმაციას არც ქვეყნის დიპლომატიურ კორპუსს აწვდიან. სააკაშვილმა აშშ-ში ვიზიტის დროს, საქართველოს ელჩს აშშ-ში არჩილ გეგეშიძეს შეხვედრებში მონაწილეობაზე უარი განუცხადა. საქართველოს საელჩოში გამართულ შეხვედრაზე, ელჩმა შესთავაზა, რომ მიიღებდა მონაწილეობას ყველა შეხვედრაში, რომელსაც პრეზიდენტი გამართავდა, თუმცა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, პრეზიდენტმა გეგეშიძეს უთხრა, რომ მისი მონაწილეობა შეხვედრებში არ სჭირდებოდა.

„როდესაც მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, არჩილ გეგეშიძემ შესთავაზა, რომ მიიღებდა მონაწილეობას იმ შეხვედრებში, რომელიც პრეზიდენტს აქვს დაგეგმილი. მან პრეზიდენტისგან უარი მიიღო, რომ საელჩოს დასწრება არ სჭირდებოდა“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

აშშ-ში სააკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაცია ინტენსიურად მუშაობს, რათა დააკანონოს ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია. მისი თქმით, რუსეთს საბოლოოდ მოუწევს დეოკუპაცია და გასვლა, მაგრამ თუ შეძლებს, რომ ბევრმა ქვეყანამ დაიკანონოს ოკუპაცია, რა თქმა უნდა, ეს პროცესი რუსეთის თვალსაზრისით, შეუქცევადი გახდება. ამიტომ, ახლა, როგორც არასდროს, სააკაშვილის აზრით, საჭიროა დიპლომატიური ქმედებები.

„ჩვენ წინა წლებში გავაჩერეთ ჩვენი ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების პროცესი ამ ინტენსიური სიარულით და დიპლომატიით. აქ, აზიის ქვეყნების სამიტია და ეს ზუსტად ის ადგილია, სადაც ჩამოდის მთელი რიგი რისკის ჯგუფის ქვეყნები. პრობლემა ისაა, რომ ჩვენი დელეგაცია ჩამოვიდა და აქ არ არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. არადა, საგარეო საქმეთა სამინისტრო, იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტი დადის, უნდა დადიოდეს და კულუარებში მუშაობდეს იმ საკითხებზე, რომელიც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ჩემში გაკვირვებას იწვევს, რატომ არ არის აქ საგარეო საქმეთა სამინისტრო. მათ მშვენივრად იცოდნენ ამ სამიტის შესახებ რამდენიმე თვით ადრე. მე ვფიქრობ, რომ მომავალში მეტი კოორდინაცია გვმართებს,“ - აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, რამდენიმე დღეში ის მიემგზავრება ეკვადორში, ქვეყნის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე. სააკაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ეკვადორი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, იქაც ჩადიან სარისკო ჯგუფები, რომლებთანაც რუსეთი აქტიურად მუშაობს.

„ამიტომ, მე მინდა შევთავაზო, მათ შორის, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, წამოვიდნენ ხოლმე ჩვენთან ერთად დელეგაციაში, რომ მარტო უმცირესობის წევრები არ ვატაროთ. მე მხოლოდ გამიხარდება და მივესალმები, თუ უმრავლესობის წარმომადგენლები წამოვლენ, იმიტომ, რომ ჩვენს პოზიციებში განსხვავება არ უნდა იყოს და ამ თემებზე ყველა ერთად უნდა ვმუშაობდეთ. ეკვადორში მაინც უნდა გამოსწორდეს ის სიტუაცია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ახლდეს პრეზიდენტს და უნდა მუშაობდეს საქართველოს საკითხებზე. ჩვენ ახლა ვიმყოფებით ხელჩართულ დიპლომატიურ ბრძოლაში და აქ უმრავლესობა-უმცირესობა, პოლიტიკურად განსხვავებული შეხედულებები არ უნდა არსებობდეს. ყველანი ქართველები ვართ და ყველანი საქართველოსთვის უნდა ვიბრძოდეთ,“ — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

პრეზიდენტის ამ შენიშვნებს არ ღებულობს საგარეო საქმეთა სამინისტრო. რაც შეეხება არაკოორდინირებულობას, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, ეს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება.

რაც შეეხება ეკვადორში ვიზიტს, ამაზე ზალკალიანი განმარტავს, რომ ეკვადორში ვიზიტს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გეგმავდა.

მისივე თქმით, დავით უსუფაშვილს ბილეთებიც ჰქონდა აღებული და სასტუმროც დაჯავშნილი, თუმცა, გუშინ გაირკვა, რომ პრეზიდენტი მიდის ეკვადორში და აქედან გამომდინარე, უსუფაშვილი აღარ გაემგზავრება. საგარეო საქმეთა სამინისტროდან კი ამ შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია დაესწრება.

„ჩვენ არ გვესწავლება კულუარებში და საჯაროდ მუშაობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა საპარლამენტო უმრავლესობაც მზად არის, გაჰყვეს პრეზიდენტს ვიზიტად. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩს არჩილ გეგეშიძეს შეხვედრებზე დასწრებაზე უარი განუცხადა“, — თქვა ზალკალიანმა.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ დღეს სააკაშვილი ქვეყნის გარეთ ეწევა ანტიქართულ საქმიანობას და სწორედ, ამიტომ არ სურს მასთან ერთად შეხვედრებზე მონაწილეობას ღებულობდნენ ელჩები, რომლებიც მოქმედ ხელისუფლებასთან ასოცირდებიან.

„სავარაუდოა, რომ ამ შევედრებზე სააკაშვილი ისეთ რამეებს ამბობს, რისი მოწმეები და საქართველოში ამბის ჩამომტანი არ უნდა, რომ ჰყავდეს. გეგეშიძე ასეთ შეხვედრებზე არ ახლავს სწორედ იმიტომ, რომ ელჩი ჩამოიტანს სააკაშვილის საუბრის დეტალებს. როგორც წესი, სააკაშვილი ბოლო ხანებში უცხოეთში ანტიქართულ პროპაგანდას ეწევა. საჯარო განცხადებებში, რომელსაც ის აკეთებს უცხოეთში, როგორც წესი, ყოველთვის კრიტიკულია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. ბუნებრივია, ასეთივე იქნება ის დახურულ შეხვედრებზეც.

რაც შეეხება იმას, რომ სააკაშვილი ვიზიტებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს არ აყენებს საქმის კურსში, ამასაც თავისი მიზეზი აქვს. კერძოდ, წესით სამინისტრო სვამს კითხვას - რა არის ვიზიტის მიზანი და მას შემდეგ ვიზიტის მომსახურეობისთვის გამოყოფს კონკრეტულ თანამშრომელს.

პრეზიდენტს კი ასეთი „თვალი“ არ აწყობს,“ — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

ამ პათოსს იზიარებს, ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** და აცხადებს, რომ სააკაშვილს ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთო არ გაუკეთებია მას შემდეგ, რაც იგი გამოვიდა აღიარებით, რომ მისი გუნდი არჩევნებში დამარცხდა.

„როგორც ჩანს, მას ძალიან მკაფიო დაკვეთა აქვს საკუთარი პარტიისგან და საკმაოდ შეზღუდულია თავის უფლებამოსილებებში. ახლა, იგი უბრალოდ, თავს იმართლებს იმ განცხადებისთვის, რომელიც მან გააკეთა და ცდილობს, რომ თავადვე მისავე გუნდმა არ მოისროლოს ის პოლიტიკიდან.

დარწმუნება ქართული საზოგადოებისა, რომ ტაილანდში მისი ვიზიტი იყო აუცილებელი, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, გაუჭირდება. ვერც იმას დავიჯერებ, რომ სექსუალური უმცირესობის ინტერესების დასაცავად ჩავიდა ტაილანდში. ის ეწევა ანტიქართულ საქმიანობას და პარალელურად, რომ გარკვეული აგიტაცია მოახდინოს სექსუალური უმრავლესობის მისწრაფებებზე,“- ამბობს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილი.

თამთა ქარჩავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოზიცია

პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების განცხადებით, სამართლიანობის აღდგენა, პირველ რიგში, დამნაშავე რეჟიმის კანონის ძალით გასამართლებას მოითხოვს. მათ მიერ მიღებულ რეზოლუციაში დაფიქსირებულია პარლამენტისადმი მოთხოვნა, შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს და შესაბამის პოლიტიკურ, სამართლებრივ და მორალურ შეფასებას მისცემს მას.

მეორე მხრივ, ხელისუფლება დროდადრო საუბრობს პოლიტიკურ ამნისტიაზე და ამბობს, რომ იმდენად ბევრი დანაშაულია ჩადენილი, ყველას გასამართლება ვერ მოხდება. რეჟიმის გასამართლება თუ პოლიტიკური ამნისტია? — ამ თემაზე ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე გვესაუბრება.

რეჟიმის გასამართლება თუ პოლიტიკური ამნისტია?

— ბატონო ვახტანგ, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ყრილობაც კი ჩაატარეს სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, ისინი ხელისუფლებისგან რეჟიმის გასამართლებას ითხოვენ. რამდენად ხედავთ შესაძლებლობას, რომ ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს?

—სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა არის ერთ-ერთი ძირითადი, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა და ქვეყნის სათავეში მოვიდა „ქართული ოცნება“.

უნდა ითქვას ისიც, რომ წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება მოსახლეობისადმი, აუცილებლად დააპატიმრებდნენ, სწორედ სამართლიანობის აღდგენა იყო. იყო მისი განცდა, რომ ვისაც კი რაღაც ტიპის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ეს საკითხი დღემდე მნიშვნელოვანია და, როგორც ჩანს, ჯერჯერობით „ქართული ოცნება“ თავის დანაპირებს არ, ან ვერ ასრულებს.

სიმართლე გითხრათ, კარგად არ მესმის, რას გულისხმობენ ყოფილი პოლიტპატიმრები რეჟიმის გასამართლებაში და როგორ უნდა მოხდეს მისი რეალიზება. თუმცა, რა შინაარსიც არ უნდა იდოს ამ ტერმინში, საზოგადოებაში მოთხოვნა, აღდგეს სამართლიანობა, კვლავ აქტუალურია და ასეთი მოთხოვნა ყოველთვის იქნება მიმართული ხელისუფლებისადმი.

— შესაძლოა, აქციის მიზანი ხელისუფლების ამ მიმართულებით გააქტიურება იყოს?

— შესაძლოა, ესეც იყოს მიზანი, ბოლო პერიოდში ეს საკითხი მედიასაშუალებებშიც გააქტიურდა, მაგრამ რამდენად დააჩქარებს ხელისუფლება ამ მიმართულებებით ქმედებებს, ვერ გეტყვით.

რამდენადაც მესმის, არის რაღაც საკითხები, რომელთა ძიებაც დასრულებულია. თუ ლაპარაკია, რომ მთლიანად შეფასდეს „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მოღვაწეობა, არ მგონია, ამისათვის საკმარისი იყოს ყრილობის გადაწყვეტილება. გასაგებია, რომ ყრილობის მონაწილეთაგან რაღაც ჯგუფი შესაბამის საკითხებზე იმუშავებს, მაგრამ, ვფიქრობ, აქედან არაფერი გამოვა, გარდა იმისა, რომ საკითხი იქნება დეკლარირებული და კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო დანაშაულებრივი რეჟიმი.

— მსოფლიოში თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დიქტატორული ხელისუფლების წასვლის შემდეგ მომხდარა რეჟიმის გასამართლება? არ ვგულისხმობ ფაშისტურ გერმანიას...

— ერთ-ერთი, რაც მახსენდება, გერმანია და ნიურნბერგის პროცესია, სხვა ანალოგი არ მეგულება, დანარჩენი პროცესები დაახლოებით იდენტურია — ის, რაც მუბარაქის წინააღმდეგ ხდება, ჩილეს მოვლენები, კამბოჯა — ძირითადად ამ სტილში ხდება ხოლმე რეჟიმებთან პროტესტი. თუ იგულისხმება, რაც ნიურნბერგის პროცესის შემდეგ მოხდა, რომ ფაშისტური რეჟიმი გამოცხადდა დანაშაულებრივად და გერმანიაში ფაშისტური პარტიის ჩამოყალიბება აიკრძალა, მსგავსი რამ სხვაგან არ ყოფილა და ესეც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო მოთხოვნილი და მასში მთელი მსოფლიო საზოგადოება მონაწილეობდა. გარდა ამისა, ეს იყო საერთაშორისო სასამართლო, სადაც უამრავი ფაქტი დაიდო.

ჩვენ ვერ შევძელით კომუნისტური რეჟიმის გასამართლებაც კი, ჩვენი ახლო წარსულიდან თუ ვიმსჯელებთ, ამიტომ თემის გაღვივებისა და მთავრობის თუ საზოგადოების მობილიზებისთვის განკუთვნილი უფრო მგონია ეს რეზოლუცია, ვიდრე რაღაც კონკრეტული შედეგის მომტანი.

— ნუ დავივიწყებთ, რომ პარალელურად ლაპარაკია პოლიტიკურ ამნისტიაზეც...

— პოლიტიკური ამნისტია ცოტა სხვა რამ არის, ეს უფრო შეთანხმებაა ძველ და ახალ ხელისუფლებებს შორის. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, საზოგადოების სამსჯავროზე უნდა იყოს გამოტანილი. მეც, პირადად, მხარს დავუჭერდი ამ აქტს, თუმცა, ზუსტად უნდა ვიყო ინფორმირებული, რა და როგორ ხდება. ჯერჯერობით, მხოლოდ ტერმინები ისმის, მაგრამ ზუსტად რა იგულისხმება, არ არის დაკონკრეტებული, ამიტომ ამ თემებზე მსჯელობა ამ ეტაპზე რთულია.

—ცოტა უცნაურიც კია, ვისი ამნისტირება ხდება, როდესაც გასამართლებული არავინ არ არის...

—სწორედ ამას ვამბობ, რომ არც ხელისუფლებაა ჩამოყალიბებული, რა და როგორ უნდა რომ გააკეთოს და არც საზოგადოება. საზოგადოება ზოგადად ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და ამაში გულისხმობს „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა პასუხისმგებელი პირის დასჯას.

აქ მეორე საკითხი შემოდის, ეს არის კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული, ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული, მორალური დანაშაული თუ სხვ.

თუ ლაპარაკია სისხლის სამართალზე, ქონების წართმევაზე, წამებაზე და ა.შ. ეს ეხება კონკრეტულ პირებს. მეორე საკითხია ამ დანაშაულებში ვინ მონაწილეობდა, ვის ვასამართლებთ, ბრძანების გამცემს თუ ბრძანების შემსრულებელს.

როგორც ჩანს, საკითხი ასე დადგა, ხომ არ გავმიჯნოთ ბრძანების გამცემები და შემსრულებლები და, სავარაუდოდ, სწორედ ამ შემსრულებელთა ამნისტირებაზეა ლაპარაკი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც საკითხი ასე დგება, ეს იქნება საყოველთაო ამნისტია, თუ ხელისუფლებამ უნდა გამოსცეს დეკრეტი, სადაც იტყვის, რომ ამ კონკრეტულ ხალხთან არაფერი გვესაქმება? — ესეც დასაზუსტებელია, ამ კონკრეტულმა ადამიანებმა უნდა მისცენ თუ არა ჩვენება, უნდა გაიმართოს თუ არა სასამართლო პროცესი და ა.შ...

ვფიქრობ, პრობლემა სხვა რამეშია. თუ ყველა იმ საქმეს განიხილავენ, რა კანონდარღვევაც ამ 9 წლის განმავლობაში ყოფილა, მივიღებთ ადამიანთა უზარმაზარ არმიას, რომელიც უნდა დააპატიმრო და ციხეში გაუშვა. ცხადია, ხელისუფლება ფიქრობს, რომ ხელახლა არ გაავსოს ციხეები და მოახდინოს ამნისტირება.

როგორც ჩანს, ხელისუფლების ნაწილი ვერც კოაბიტაციის რეჟიმს ეგუება და ვერც სხვა გამოსავალს ნახულობს, რომ სამართლიანობა აღადგინოს. მგონია, რომ კოაბიტაციის რეჟიმში სამართლიანობის აღდგენის გზებს ეძებს.

იკვეთება ხელისუფლების დიდი სურვილი, რომ ბრძანების გამცემები დასაჯოს, მაგრამ ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კოაბიტაციის საკითხი — ყოველ შემთხვევაში, დასავლელი პარტნიორები ასე ჩათვლიან. ჩანს, რომ ხელისუფლება ვერც ერთ ნაწილზე ამბობს უარს და ვერც მეორეზე.

— საზოგადოების ერთი ნაწილი იწყებს გაერთიანებას იდეის გარშემო, რომ მოხდეს რეჟიმის გასამართლება, მეორე ნაწილი, შესაძლოა, ამნისტირების იდეის მომხრე იყოს, როგორ ფიქრობთ, ხომ არ გამოიწვევს ეს საზოგადოების დაპირისპირებას?

—საზოგადოება ისედაც დაპირისპირებულია. ბოლო დღეების მოვლენებმაც დაგვანახა ეს. გარდა იმისა, რა და როგორ მოხდა და ვის როგორ უნდა ემოქმედა, სახეზე იყო შიშველი აგრესია. მნიშვნელობა არ აქვს, ეს აგრესია სამართლიანი იყო თუ უსამართლო, იყვნენ ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ, ყველაფერი დაენგრიათ, დაელეწათ და ა.შ.

ეს აგრესია არც დღეს გაჩენილა, არც გუშინ და გუშინწინ. მთელი 9 წლის განმავლობაში ნელ-ნელა გროვდებოდა და თუ გულწრფელნი ვიქნებით, ყველანი სავსენი ვართ ამ აგრესიით. ზოგი თუ ახერხებს ამ აგრესიის ჩახშობასა და ალაგმვას საკუთარ თავში, ზოგი ამას ვერ ახერხებს.

ძალიან ცოტა ნაწილმა იცის, რომ ამ ვნებებს თუ მიეცი გასაქანი, ის არა მარტო ქვეყანას, არამედ პიროვნებებსაც დაზიანებს და თავადაც წაგლეკავს ეს აგრესია. საზოგადოების დიდი ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს და ხელისუფლებისგან მოითხოვს, გაათავისუფლოს ამ აგრესიისაგან.

ასეთ ვითარებაში უწევს ხელისუფლებას მოქმედება და მან რეალურად დააგვიანა ამ გადაწყვეტილების მიღება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ის ამბობს, რომ ამას გააკეთებს, მაგრამ ფაქტები არ ჩანს და დონე აგრესიისა სულ უფრო მატულობს.

საბოლოოდ, შეიძლება, სულ უბრალო ფაქტი გახდეს აფეთქების მიზეზი, მაგრამ მერე რა და როგორ გაგრძელდება, რთული სათქმელია. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დღეს საზოგადოებაში ხდება.

ამიტომ, დროულად უნდა გადაწყდეს, საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ხელისუფლება. რას და როგორ აპირებს, ზუსტად და მკაფიოდ უნდა თქვას. შეიძლება, ამან გაღიზიანებაც გამოიწვიოს, მაგრამ ჯერჯერობით ხელისუფლებას, ივანიშვილს ვგულისხმობ, აქვს საკმაოდ დიდი რეიტინგი იმისათვის, რომ დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება — შესაძლოა, საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მიუღებელიც კი, მაგრამ დღეს საზოგადოება ამ გადაწყვეტილებას დაემორჩილება.

თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდა ასეთი გაურკვეველი ვითარება, საზოგადოება უკვე აღარ დაემორჩილება ხელისუფლების გადაწყვეტილებას და მივიღებთ ქუჩის დაპირისპირებას...

ლალი ზირაქიშვილი

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● კახელმა დააცემინა და მეორე ეუბნება, სეტყვა არ გამოგილიოს ვენახში ღმერთმაო :))))

● კახელებმა დაგლიჯეს!

იმედზე ვუსმენ და კახელი „გლეხი“ იძახის:

„ეს 100%-ნი კი არა 200%-ნი სეტყვა იყოო,მან წლევანდელი კი არა მომავალი წლის მოსავალიც გააფუჭაო:)))))) მაგას ნაღდად „ჰამერის“ დათრევა უნდა:)))))

ვახ, კახელები გლიჯავენ!

● ხალხოოოო))) ზოგს რა ბედი აქვს :)

ბიუჯეტიდან 65 მილიონი რომ მომეპარა კი არა, ცოლის ჯიბიდან 65 თეთრი რომ ამოვიღო და მიჩივლოს, პასუხს მაგებინებენ... მეტი რაღა უნდა ექნა მიშას ჩინოვნიკს, რომ დაგესაჯათ? დარწმუნებული ვარ, ეზუგბაიას რომ არ გაესწრო, დღეს უკვე გარეთ იქნებოდა, 500 ლარის გირაოს სანაცვლოდ...

აქ არ არის და იმიტომ მივუსაჯეთ ორთვიანი პატიმრობაო... :))

მაგარი ლო-ღ-იკა�ა :)

● რა „ბედნიერი“ იქნებოდა ქართველი ერი, დღეს რომ თამარ გურჩიანისნაირი სუბიექტი ყოლოდა სახალხო დამცველად!!!

დღეს სწორედ ეგ „უფლებადამცველი“ და მისი მხარდამჭერები ჩაუდგნენ სათავეში განახლებულ და გააფთრებულ ომს პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ...

თამარ, სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ერთი-ორი სიბრძნეც მიაყოლე პატრიარქის მოწოდებისგან, რომელიც, სხვათა შორის, შენნაირ და ჩერგოლეიშვილისნაირ პროვოკატორებს გირჩევდათ, შეგეჩერებინათ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ნერვებზე თამაში.... :))

გმადლობთ უფალო, რომ ეს კატასტროფა — დედაკაცი თავიდან აგვაცილე!!!

● მახსოვს წვიმის დროს ბებია იტყოდა, მზე პირს იბანსო...

ცოცხალი რომ იყოს, დღევანდელ წვიმაზე ალბათ ასე იტყოდა, დედების მიერ ამ 9 წლის მანძილზე დაგროვილი ცრემლები გვაწვიმსო.

● ხერხემალას ციხის კარტაზე ფული ვანო მერაბიშვილის სახელზე უნდა ჩავურიცხო, თუ ვანო მაისურაძის?

● ერთი ბნელი ბებერი „მორფინისტი“ დადიოდა და პოეტი ვარო, იძახდა.... ჩვენ ხმა არ გაგვიცია... ვაჟა გოიმი იყოო... ჩვენ ხმა არ ამოგვიღია... აიჩემეთ რა — გალაკტიონი, ეგ დებილიო... კიდევ მოვკეტეთ... არადა, ვიცით რომ არაფერი იცის და საერთო არაფერი აქვს პოეზიასთან.. არავის ხმა არ ამოგვიღია... არავის ...(ერთი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი გამახსენდა) ..ამიტომ ისმის კითხვა, ეგ არის დებილი თუ მართლა ჩვენ ვართ დებილები?

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ.

◎ ალიან-ჩალიანი

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, ამ პოსტზე რატი ჯაფარიძე დაინიშნა.

რატი ჯაფარიძე დანიშვნამდე მსოფლიო ბანკში მუშაობდა და კოორდინირებას უწევდა სატყეო სექტორში კანონალსრულებისა და მართვის გაუმჯობესების პროგრამა ENPI FLEG -ს.

ის ასევე ჩართული იყო გარემოსდაცვით საქმიანობაში და სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოში დირექტორის (2006-07), ხოლო დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტში — ხელმძღვანელის (2005-06) პოზიციებზე.

მის სამუშაო გამოცდილებაში შედის მუშაობა deloit tuSSi (1994-95), აშშ-ს საელჩოში საქართველოში (1995-97), აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოში (2001-03) და საერთაშორისო საფინანსო კორპორციაში (2003-05).

რატი ჯაფარიძეს დამთავრებული აქვს ვილმის აკადემია (2012-13) კლაუს ტოპფერის სახელობის სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში, სადაც მან განათლება მიიღო დაცული ტერიტორიების მართვაში. მას, აგრეთვე, აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში კოლუმბიის უნივერსიტეტიდან (1997-99), სადაც სწავლობდა ედმუნდ მასკის სტიპენდიის ფარგლებში საერთაშორისო ფინანსების სპეციალობით.

რატი ჯაფარიძემ ამ პოსტზე გიორგი შონვაძე შეცვალა.

ინტერპრესნი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოზიცია

რა დაგვანახვა 17 მაისმა

17 მაისი კარგა ხანს ემახსოვრებათ მამათმავლებს და არა მარტო მათ. 17 მაისს, მშფოთვარე სულის ამოხეთქვა შეიძლება ეწოდოს. 17 მაისი, პროტესტის საყოველთაო დღედ შეიძლება მოინათლოს. 17 მაისი, შერყეული ეროვნული გრძნობის დაცვის, გადარჩენის დღედ შეიძლება აღვიქვათ. 17 მაისმა, ბევრი ისეთი თქვა, წინათ რომ თავშეკავებით ამბობდნენ. 17 მაისმა დაგვანახვა, რომ საქართველო არც ისეთი იოლად გასატეხი კაკალია, ნაცებს და მათ მხარდამჭერ დასავლეთს რომ ჰგონიათ. 17 მაისი, მართლმადიდებლური რწმენისთვის ბერისა და ერის ერთობლივი, ხელჩართული ბრძოლის დღეა, ეს ის დღეა, ერი და ბერი ერთად რომ დადგა სარწმუნოების, ტრადიციების, ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული „მეს“ გადასარჩენად.

17 მაისი, გაცილებით მეტია, ვიდრე მამათმავლობის წინააღმდეგ გალაშქრება. ამისთვის ასი ათასი კაცის ქუჩაში გამოსვლა საჭირო არ არის. მასთან ნაკლებმასშტაბური ძალისხმევითაც შეიძლება გამკლავება. 17 მაისი, დასავლური უკუღმართობის წინაშე გალაშქრებაა.

17 მაისმა ყველას დაგვანახვა, თუ რაოდენ ნეგატიურად, შეურაცხმყოფელად შემოვიდა ქვეყანაში დასავლეთი. შემოვიდა დასავლურად განწყობილი ახალგაზრდა ნაცთა მეცადინეობით, მათი და მათი დასავლელი მასწავლებლების ძალისხმევით, ყოველგვარი მორიდების გარეშე.

ცხრა წელიწადია ე.წ. თავისუფლებას, ეროვნული კომპლექსებისგან განთავისუფლებას ქადაგებენ დასავლელები ადგილობრივ ნაცთა და მათზე მიტმასნილ ადამიანთა პირით. მათთვის არაფერი სულიერი არ არსებობს, მათთვის, მთავარია ფულის მოხვეჭა, სულისა და ორგანიზმის პერმანენტულ განცხრომაში გადაყვანა, ტრადიციების მოშლა და მასთან ერთად ქართული საზოგადოების გადაგვარება.

მიაღწია თუ არა დასავლეთმა საწადელს? ნაწილობრივ – ცხადია. და ეს რომ ასეა, არშემდგარი გეი-პარადიც კმარა.

ის, რაც დასავლეთმა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში განახორციელა აშკარა მაჩვენებელია მის მიერ აღებული მაღალი ტემპისა. ცხრა წლის განმავლობაში დასავლეთმა შეუძლებელი შეძლო. ცხრა წლის წინათ ცოტა თუ იფიქრებდა რუსთაველის პროსპექტზე პედერასტთა პარადს. მამათმავლობა დასავლური თემა იყო – მასმედიაში ნაკლებად სალაპარაკო. დღეს, ჩვეულებად იქცა ამ თემაზე ლაპარაკი, სატელევიზიო გადაცემები, მამათმავლობის აფიშირება, ზოგ შემთხვევაში თავის ქებაც.

ერის დაცემისთვის სხვა ბინძურ ხერხებთან ერთად სექსუალური აღვირახსნილობაც გამოიყენება. ამას ქადაგებდა სახელგანთქმული ამერიკელი ალენ დალესი. მისი ნათქვამი წარმატებით სრულდება საქართველოსა და მის მსგავს სუსტ ქვეყნებში. და არა მარტო სუსტებში.

ამერიკული ამბები – სხვა ქვეყნების გასაბრუებლად გამოგონილი, უებარი წამალია იმისა, რომ ამერიკა მამა-მარჩენლად, მსოფლიოს ერთპიროვნულ მბრძანებლად აღიარო. ამერიკული გეგმების განხორციელებისთვის მილიონობით დოლარი იხარჯება. შედეგიც საშურია – უკვე 15-მა ქვეყანამ კანონიერად ცნო ერთი სქესის ადამიანთა ქორწინება და შვილის აყვანა.

მომავალი მშობლები დაინომრნენ კიდევაც - ნომერ პირველად და მეორედ. ჩვენდა სამწუხაროდ, პროცესი ისე ვითარდება, რომ უახლოეს მომავალში 15-ს არაერთი 15 დაემატება. ამ ტემპით რომ ებრძოლა „ცივილიზებულ“ დასავლეთს, მსოფლიოში ბავშვთა შიმშილით სიკვდილიანობა ერთიორად შემცირდებოდა. მაგრამ იქნებ აწყობს განვითარებულ დასავლეთს განუვითარებელთა გაუსაძლისი ყოფა?! ასეთი ხომ გაცილებით იოლი სამართავია?

17 მაისში ყველაფერი იყო ჩაქსოვილი – ნაცთა საწინააღმდეგო პროტესტი, ხელისუფალთა გადამეტებული ლოიალურობა გუშინდელ, დამნაშავე ხელისუფალთა მიმართ, ე.წ. „კოჰაბიტაციის“ საშიშროება, დამნაშავეთა დაუსჯელობა, ახალი ხელისუფლების მიერ დანაპირების შეუსრულებლობა, გაუმართლებელი თავისქება ვითომდა გაკეთებული საქმეებით, ავღანეთის მიწაზე ფუჭი სისხლის ღვრა, ტერორიზმის წინააღმდეგ ცხრა მთას იქით ბრძოლა, ქვეყნის სოციალური პირობების გაუსაძლისობა და სხვა მრავალი.

ალასანიამ ბრძანა, რომ ავღანეთში დაღუპული მეომრები გმირები არიან, ვინაიდან თავი შესწირეს მსოფლიოს თავისუფლებას.

მაინც რა მეტიჩრები ვართ, ცხადია ზოგიერთები, განსაკუთრებით ამერიკაში ნასწავლნი, იქაური ძუძუნაწოვნი. ამას წინათ გაზეთი „ქრონიკა“ აქვეყნებდა აშშ-ის მიერ საქართველოში გადაბირებული ათი ათასი ადამიანის ქართველ ხელმძღვანელთა სიას. სიაში ვერ ამოვიკითხე ამერიკის სადაზვერვო სკოლაში ნასწავლი ალასანიას გვარი. სიაში არც ამერიკული ფულით გაზრდილი „რესპუბლიკელების“ გვარები იყო – დაბეჯითებით, რომ ქადაგებენ, კანონები და კონსტიტუცია ყველამ უნდა დაიცვასო.

კანონი და კონსტიტუცია ბოლო ცხრა წლის განმავლობაში არც ხელისუფლებაში მყოფთ გახსენებიათ და არც ოპოზიციაში, მათ შორის „რესპუბლიკელებში“. ხელისუფლება უკანონოდ უსწორდებოდა ყველას, ვინც ოდნავ გადაბრუნებულს იტყოდა მასზე. არც არასამთავროები იკლავდენ თავს ხელისუფალთა არაკონსტიტუციურ ქცევასთან დაკავშირებით. საკითხავია, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ორივენი, დასავლეთიდან იმართებოდნენ?

ალასანიას და შემდგომში ყველა თავდაცვის მინისტრის გასაგონად – თუ ავღანეთში წყდება მსოფლიოს თავისუფლების ბედი და ამ „დიად“ საქმეში ქართველი სამხედრო მოსამსახურეებიც იღებენ მონაწილეობას, მინისტრს აქ რა უნდა, იქ უნდა იყოს არა თითო-ოროლა საათით, არამედ რამდენიმე დღით, კვირით.

მინისტრმა ფსევდოპატრიოტული სიტყვები თქვა დაღუპული მეომრების საგმირო საქმეების აღსანიშნავად. ფულად კომპენსაციასაც მიიღებენ მათი მშობლები, მეუღლეები, შვილები, მაგრამ ისინი უკან აღარასოდეს დაბრუნდებიან. მინისტრი კი იტყვის აშშ-ის საამებელ სიტყვებს და გულის გასაქარვებლად დუბაის, პარიზს, ლონდონს გაუყვება.

17 მაისი აღნიშნული „ფსევდოპატრიოტიზმის“ საწინააღმდეგო აქტიც იყო – ხმამაღალი ყვირილით – საქართველო არ შევა ნატოში. გულიდან ამოხეთქილ ჭეშმარიტებას სწორედ მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც გააფთრებულ ხალხში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გამოჩნდა. ხალხის ეს ნათქვამი ცუდად უნდა იყოს აღქმული ვაშინგტონში. არადა რა ფული ჩაიყარა ქართველთა „მორჯულებისთვის“!

მორჯულებულ-გადაბირებულ ათი ათასთან შედარებით მოურჯულებელი ასი ათასი ანგარიშგასაწევი ძალაა. ამ რაოდენობის პროტესტანტი მოსახლეობა საქართველოზე მრავალრიცხოვანი ქვეყნისთვისაც საშური საქმეა. დაფიქრდებიან ამერიკელები, შესაბამის ანალიზსაც გააკეთებენ და უფრო შეუპოვრად შემოგვიტევენ, თან ფულსაც გააათკეცებენ გადაგვარებულ-გადაბირებულ 10.000-ის გასაორმაგებლად.

ყურადღება, დიდი ყურადღება გვმართებს, ვინაიდან სტრატეგიულ პარტნიორს არ სძინავს.

17 მაისის აქცია მიმართული იყო როგორც ძველი ხელისუფლების, ისე ახლის წინააღმდეგ, რაც მთავარია, მათ მიერ არჩეული დასავლური კურსის წინააღმდეგ, დღევანდელი ხელისუფლების ინერტულობის წინააღმდეგ.

მამათმავლობასთან ბრძოლა – ყოველივე აღნიშნულის წინააღმდეგ გალაშქრების საბაბი იყო. 17 მაისში სიღრმისეული რამ არის ჩაქსოვილი და ხელისუფლების მხრიდან ღრმა, მიუკერძოებელ შესწავლას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც ისეთ ბედს გაიზიარებს, როგორც წინამორბედი.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ თეატრი

თემურ ხუნაშვილის „ლამაზი ცრემლები“... თელავიდან

საქართველოში ერთ-ერთი უძველესი, თითქმის 200 წლის თელავის თეატრი არა ოდენ კახეთის, არამედ მთელი საქართველოს თეატრალური ელიტის სიამაყეა. თეატრის გამორჩეულად ეროვნულ სპექტაკლებს არასოდეს მოჰკლებია მაყურებელი არცა თბილისში, არცა ქუთაისში, არცა ბათუმსა თუ ფოთში (სწორედ ამ დღეებში თეატრი ფოთში საგასტროლოდ ემზადება)... მე და ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრები ხომ თითქმის 35-40 წელიწადია თბილისიდან საგანგებოდ ჩავდივართ თელაველთა პრემიერებზე...

გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქციაში ხანმოკლე პრაქტიკების დროს („საზიზღარი“ სოციალიზმის ეპოქაში თელავში გამოდიოდა რაიონულ გაზეთებს შორის გამორჩეული, 12000-იანი ტირაჟის მქონე სისხლსავსე გაზეთი!), თელაველმა კოლეგებმა და მაშინ თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა ვენერა ფეიქრიშვილმა, ვანო იანტბელიძემ, თემურ ხუნაშვილმა, ზურა ანთელავამ და სხვებმა ისე შეგვაყვარეს ერეკლეს ქალაქი, რომ ღამის ჩვენც „გავკახელდით“...

ქალაქს თუ სოფელს თავისი მკვიდრი გაყვარებს, მით უფრო სცენაზე ქართული სიტყვის მსახური, გონიერი და ღონიერი არტისტი... მოგეხსენებათ, ცხოვრება სცენაა და ნებისმიერი ადამიანი იმით გამოგვარჩია განგებამ, თუ როგორი „თამაშთამაშით“ გავლევთ ამ უბარაქო წუთისოფელს.

თელავის თეატრს ღონიერი არტისტები არასოდეს ჰკლებია, მით უფრო გამორჩეული იყვნენ ისინი, რომლებიც ზემოთ დაგისახელეთ და თითქმის ნახევარი საუკუნეა ქართული სცენის, თელავის თეატრის იმედად მიგვაჩნია. ამიტომაც დაიმსახურეს ხალხის სიყვარული, მაღალ-მაღალი წოდებები და სახელმწიფო პრემიები...

... თითქოსდა ქართველთა მთელი ჭირ-ვარამი წარმომიდგა თვალწინ, როცა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი სპექტაკლი ვიხილე.

„ლამაზი ცრემლები“ – ასე დაურქმევია ცნობილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებების მიხედვით ოქროსფერი ვაზის მტევნების აკიდოსავით აკინძულ მონო-სპექტაკლისთვის იმის ავტორს და შემსრულებელს თემურ ხუნაშვილს.

მრავალმხრივი, ღრმად ეროვნული შემოქმედი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე, – ასე წარმოჩინდა მაყურებლის წინაშე ეს მრავალჭირგადანახადი, თელაველთა საყვარელი, ჭკუასაკითხავი კაცი და ხელოვანი.

თავად განსაჯეთ, სპექტაკლის ავტორი და შემსრულებელი კი არ კითხულობს, არამედ სრულყოფილად, მთელი ენერგიითა და შინაგანი განცდით თამაშობს ქართული ლიტერატურის მშვენება მოთხრობა-ნოველების მთავარ გმირებს – **მიხეილ ჯავახიშვილის** „ორი შვილი“, **რევაზ ინანიშვილის** „ლამაზი ცრემლები“ და „კახური საშუაღამეო“, **გოდერძი ჩოხელის** „გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცი“, **კარლო კობერიძის** „აღდგომა“.

სპექტაკლში ეფექტურად არის ჩართული ახალგაზრდა პოეტის **რეზო გეთიაშვილის** მშვენიერი ლექსი „კახეთი“...

სევდა, ტრაგედია, შური, ბოროტება, სასოწარკვეთა, ქართული გულარხეინობა, სატირა და იუმორი, სიკეთე და უბრალოება, ღრმა ლირიზმი – აი, როგორი მეტამორფოზა განიცადა სულ რაღაც საათნახევრის განმავლობაში თემურ ხუნაშვილმა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მონოსპექტაკლი ორმაგად უფრო რთული სათამაშოა, ვიდრე ჩვეულებრივი, არტისტმრავალი წარმოდგენა. ერთი კაცის სპექტაკლი მოსაწყენი რომ არ გამოდგეს, მსახიობის ოსტატობა მრავალფეროვანი უნდა იყოს. თემურ ხუნაშვილმა ეს ნამდვილად შეძლო. ამის დასტური გახლდათ ჩვენი დიდი რეჟისორის **რობერტ სტურუას** შეფასება: **თემურმა მართლა გულწრფელი, ლამაზი ცრემლებით გვატირა, ყოჩაღ, ძალიან კარგი იყო!...**

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე სულ 150 კაცი ეტევა. თამამად შემიძლია თქმა, რომ მაყურებლის ამ „მცირე“ რაოდენობამ ისეთი ოვაცია გაუმართა მსახიობს, თავი თეატრის დიდ, ათასკაციან დარბაზში მეგონა.

ეს დამსახურებული, გამოცდილი, აღიარებული არტისტის ნამდვილი გამარჯვება იყო (სპექტაკლის სცენოგრაფია ეკუთვნის ლევან როსტომაშვილს. რეჟისორის თანაშემწეა მაყვალა ძამუკაშვილი).

– ჩვენი თეატრის ახალგაზრდა მმართველი პაატა გულიაშვილი ძალიან მოწადინებული და სხარტი გონების კაცია, ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ თელავის თეატრი გამოცოცხლდეს და ძველი დიდება დაიბრუნოს. ვერაფრით ვერ ვუღალატებ... მსახიობთა მთელი დასი ასეა განწყობილი. მალე ახალ-ახალ პრემიერებზე მოგიწვევთ, ან სპექტაკლებს თბილისში ჩამოგიტანთ... განსაკუთრებული მადლობა რუსთაველის თეატრს, პირადად ბატონ რობერტ სტურუას ასეთი თანადგომისა და მხარდაჭერისთვის – მითხრა გახარებულმა თემურ ხუნაშვილმა...

მსახიობმა ჩვენ გაგვახარა, ჩვენ მსახიობი გავახარეთ!..

ხელოვნების მიზანიც სწორედ ეს არის...

სპარტაკ ქოგულია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საალდგომო ეპისტოლეში კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს წარმომადგენელმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა – ქვეყანაში აბორტი აკრძალოს. მაშინ, როცა ეკლესიას საზოგადოების 90 პროცენტზე მეტი ენდობა, საფიქრებელია, რომ ის პატრიარქის მოსაზრებებს ადრე თუ გვიან გაითვალისწინებს. თუმცა, რა დგას ამ რადიკალური პოსტულატის მიღმა და რა შედეგს მივიღებთ აბორტისადმი ხისტი მიდგომით – ჯერ კიდევ არაერთგვაროვან შეფასებებს იწვევს. აბორტის აკრძალვის შემთხვევაში დაემუქრება თუ არა პატიმრობა დედას ან ექიმს და რა სარგებელს მოუტანს ეს საზოგადოებას? აქვს თუ არა ეფექტი აკრძალვას იმ სახელმწიფოებში, სადაც აბორტის საწინააღმდეგო კანონი დღესაც მოქმედებს? ეკლესიის მიდგომა მკაცრია, – აბორტი ცოდვაა და მას ორთოდოქსული სარწმუნოება ვერ დაუშვებს, მაგრამ რა ხდება რელიგიურ დოგმებს მიღმა პრაქტიკულ ყოფაში და რა ბარიერებს აწყდება ქალი, როცა აბორტის გადაწყვეტილების პირისპირ დგება? – კითხვები ლეგიტიმურია, რომელიც პასუხებს ითხოვს.

ჩვენ ამ თემაზე სასაუბროდ ვეწვიეთ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს აკადემიკოს ᲐᲠᲩᲘᲚ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔᲡ, რომელიც წლებია ამ პრობლემატიკაზე მუშაობს, როგორც მეცნიერი და როგორც პრაქტიკოსი ექიმი. ამდენად, მისი მოსაზრებები უთუოდ საინტერესო და ღირებულია. თუმცა, ვფიქრობთ, შეიძლება ამან კიდევ უფრო მეტი პოლემიკა გამოიწვიოს...

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ:

ᲐᲑᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ

რა ხდება რელიგიური დოგმების მიღმა და რა ყოფით წინააღმდეგობებს აწყდება ორსული ქალი?

– ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲡ უდიდეს პატივს ვცემ. ის არის ქვეყნის სულიერი მამა და რასაც იტყვის, კომენტარი კი არ სჭირდება, შესრულება უნდა. ამიტომაც ამ თემაზე საუბარს თავს ვარიდებდი. თუმცა, საღდგომო ეპისტოლეში გამოთქმულმა ლოზუნგმა, რომ ქვეყანაში აბორტი უნდა აიკრძალოს, ძალიან შემაშფოთა. პატრიარქიც ადამიანია, ჰყვანან მრჩევლები, რომლებმაც, აგრეთვე, კარგად იმუშავეს ეპისტოლეს მომზადების დროს ყველა საკითხზე, გარდა აკრძალვისა.

საქმე ის არის, რომ აკრძალვას არსად, არც ერთ საზოგადოებაში სარგებელი არ მოუტანია. ამის საილუსტრაციოდ საბჭოთა წყობილებაც კმარა, როდესაც კარგად გამოჩნდა სადამდე მიგვიყვანა ტოტალურმა აკრძალვამ. მათგან ყველაზე მეტად ჩვენი ეკლესია დაიჩაგრა. რაც შეეხება აბორტის აკრძალვას, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დღესაც მოქმედებს კანონი, შედეგი ვერ მოიტანა იმის გარდა, რომ იზრდება დედათა სიკვდილიანობა და ხელს ითბობენ აბორტმახერები. ევროპის ქვეყნებიდან აბორტი აკრძალულია ირლანდიასა და მალტაში, ხოლო პოლონეთშიც თითქმის აკრძალულია.

– იქაც რელიგიური მოტივით აიკრძალა აბორტი?

– დიახ, კათოლიკური დოგმების გამო. დასაწყისში ცოტა შეშინდა საზოგადოება, თუმცა, შემდეგ გამოსავალი იპოვნეს. მაგალითად, პოლონეთიდან გადადიან მეზობელ ბელარუსში, იქვეა რუსეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. მიდიან ტურისტებად, იკეთებენ აბორტს და ჩამოდიან. ირლანდიელები ინგლისში გადიან და ა. შ. აბორტების რაოდენობა კი იგივე რჩება.

– ევროპულ ქვეყნებში სამედიცინო ტურიზმი განვითარებულია. მაგრამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პირობები ბევრ ქალბატონს ვერ მისცემს ასეთ „ფუფუნებას“...

– წასვლითაც ბევრი წავა, ხოლო, ვინც ვერ შეძლებს, იატაკქვეშეთში გაიკეთებს.

– არის თუ არა ექიმი დამნაშავე და შეუძლია თუ არა მას არ გააკეთოს აბორტი, მით უფრო, თუ ეს კანონით აიკრძალება?

– როცა რუსეთში ვმოღვაწეობდი, იძულებული ვიყავი, მეკეთებინა აბორტიც. არ ყოფილა შეთხვევა, არ ამეხსნა ქალისთვის, რა მძიმე შედეგი მოაქვს აბორტს და არ მეთხოვა, რომ არ გაეკეთებინა. სულ 2 შემთხვევაში გადავაფიქრებინე. ერთი იყო 15 წლის გოგონა, რომელსაც დედა ახლდა, ხოლო მეორე 36 წლის ქალბატონი ბრძანდებოდა. მას მუცელი თავისით მოეშალა, ხოლო გოგონას დედამ სხვა კლინიკაში მაინც გაუკეთა აბორტი, ანუ ჩემმა მცდელობამ სრული ფიასკო განიცადა.

– თქვენ ამბობთ, რომ აბორტი ეს არის ქალის სრულიად გაცნობიერებული გადაწყვეტილება?

– რა თქმა უნდა. აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებამდე ქალი მიდის მას შემდეგ, რაც ის გააცნობიერებს ორსულობის შედეგს. მისი გადაწყვეტილება ემყარება ფიზიკურ, მორალურ, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, მის ჯანმრთელობას, ოჯახის დაგეგმვასა თუ სხვა თანამდევ მოტივებს.

რაც შეეხება ექიმს, ჩემი აზრით, მას გამომუშავებული უნდა ჰქონდეს თავისი მორალი, რომელიც განისაზღვრება გამოცდილებით, იმით, თუ როგორ არის ის აღზრდილი საზოგადოების, ეკლესიის მიერ, როგორ იცის მან მედიცინა, ქალის ორგანიზმი. ამის მიხედვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ მოიქცეს, გაიკეთოს თუ არა აბორტი. როცა ორსული ამბობს, რომ თუ არ გამიკეთებ აბორტს, თავს მოვიკლავო, ექიმი არ უნდა დაეხმაროს?!

– ბატონო არჩილ, აქ დგას ძალიან მკაცრი და განმსაზღვრელი მოტივი – აბორტი არის ცოდვა, ვინაიდან ის მკვლელობაა!

– ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, არის თუ არა მკვლელობა. ჩემი მიდგომა ასეთია: აბორტი, დიახ, ეს არის სიცოცხლის ხელოვნური შეწყვეტა. მაგრამ... აი, აქ არის ერთი მაგრამ... ის სიცოცხლე, რომელიც ქალის ორგანიზმშია ნაყოფის სახით, ხარისხობრივად განსხვავებულია იმ სიცოცხლისგან, რომელიც იქმნება დაბადების შემდეგ, ანუ, როცა ნაყოფი დედას განეშორება. დედის ორგანიზმში მყოფი ნაყოფი დედის სრული საკუთრებაა როგორც ბიოლოგიურად, ისე იურიდიულად. და ის არის უფრო „განსხვავებული“ სიცოცხლე. ამდენად, დედას აქვს უფლება თავად განკარგოს, რა უყოს ამ სიცოცხლეს, თუნდაც იმიტომ, რომ არ ავნოს საკუთარ სიცოცხლეს.

– ამ კონტექსტში უნდა გკითხოთ, არის თუ არა განსხვავებული ნაყოფის განვითარების ეტაპები, ანუ მისაღებია აბორტი ჩასახვისთანავე რამდენიმე დღეში?

– იცით, მე ამაზე არ ვსაუბრობ... ორი შეერთებული უჯრედი უკვე ცოცხალია. უბრალოდ ის არის ხარისხობრივად სხვა დონის სიცოცხლე.

– ამის შესახებ პატრიარქთან გისაუბრიათ?

– არა, ამ დეტალებზე საუბარს თავს ვარიდებდი. თუმცა, პოლემიკა გვქონია კონტრაცეპტივებზე და სხვა თემებზე. სამღვდელოებისგან იმის აღიარებას მივაღწიე, რომ ეს ნაკლები ცოდვაა, ვიდრე აბორტი. მაგრამ თუკი შეიძლება კონტრაცეპციამ გადაარჩინოს ადამიანი აბორტისგან, დაე, იყოს ნაკლები ცოდვა.

– იცით, ბოლომდე ვერ გავაცნობიერე, რას ნიშნავს ხარისხობრივად „სხვა“ სიცოცხლე?

– მედიცინაში მეანეებისთვის არის ასეთი დაუწერელი კანონი: როცა საკითხი დგება ორსული ქალის თუ ნაყოფის გადარჩენისა, როგორ გგონიათ, ვისი სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძვით ექიმები?

– რა თქმა უნდა, დედის.

– დიახ. იმიტომ, რომ დედა არის საზოგადოების ჩამოყალიბებული წევრი, რომელიც სჭირდება ოჯახს, შვილებს, საქმეს, ქვეყანას. არის ცნობიერი ადამიანი. ის არის სიცოცხლის გვირგვინი (ქალი ევოლუციურად უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე მამაკაცი, ყველა თავისი ფუნქციით).

– რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ მაშინ, როცა აბორტი ჩვენი ცხოვრების რეალობაა?

– დიახ, სამწუხაროდ, რეალობაა, რომელსაც ვერ გავექცევით, მაგრამ მას უნდა ვებრძოლოთ ყველა გამართლებული მეთოდით, მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად და არა ხისტი აკრძალვით.

მთელი ჩემი ცხოვრება აბორტს ებრძოდი. მთელი ჩემი დისერტაციები ამას ეძღვნება, მაგრამ, ამის მიუხედავად, პირველი მინი-აბორტი მე ჩამოვიტანე საბჭოთა კავშირში 30 წლის წინათ. ის იყო ნაკლებად საზიანო ჯანმრთელობისთვის, ნაკლებად მტკივნეული, მაგრამ მან თავისი დრო მოჭამა. ახლა დავნერგეთ მედიკამენტური აბორტი, რომელიც 1000-ჯერ ნაკლებ ზიანს აყენებს ქალის ორგანიზმს და კიდევ უფრო უმტკივნეულოა. რა უნდა ვქნათ?! როცა არსებობს პრობლემა, ქალს უნდა ჰქონდეს საშუალება – გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას. ვინ იცის, რა საშინელებაა აბორტი, რას უშვება ის ქალის ორგანიზმს იმაზე უკეთ, ვიდრე ექიმებმა ვიცით. მაგრამ აბორტს უნდა მიუდგე ცხოვრებიდან გამომდინარე ახსნა-განმარტებით და არა ხისტი აკრძალვით.

– თქვენ დარწმუნებით ამბობთ, რომ ეს არაფერს სასიკეთოს არ მოიტანს, გარდა იმისა, რომ გაზრდის დედათა სიკვდილიანობას?

– ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. ამაზე მეტყველებს მსოფლიო გამოცდილებაც.

– მიზანმიმართულ ბრძოლაში კი გულისხმობთ კონტრაცეპციას?

– როცა საქართველოში ჩამოვედი, 1985-86 წლებში კონტრაცეპტივებზე საუბარი არც უნდოდათ. მაშინ 5,5 მილიონ მოსახლეობაში 300 ათასი აბორტი კეთდებოდა, აქედან 200 ათასი არალეგალური. შობადობა იყო 100 ათასი. შემდგომში რეპროდუქციული აქტივობა შემცირდა, ახლა შობადობა 50-60 ათასია, ხოლო აბორტი შემცირდა თითქმის 10-ჯერ, ანუ 36 ათასამდე.

– გულისხმობთ რეგისტრირებულ აბორტს?

– არალეგალურ აბორტს დღეს არც არავინ აკეთებს. 36 ათასი 4,5-მილიონიან საქართველოში საგანგაშო არ არის, მაგრამ მაინც მაღალია. ძალიან გაიზარდა ინფორმირების დონე, ამდენად, ყველამ იცის, რომ არსებობს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები. სხვათა შორის, ახალგაზრდები თითქმის არ იკეთებენ აბორტს. მას უფრო მიმართავენ 40 წელს ახლო ქალბატონები. მე მაინც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აბორტი საქართველოში დამარცხებულია, დაგვრჩენია მხოლოდ დავასამაროთ იგი.

– ბატონო არჩილ, ალბათ, გულუბრყვილობა იქნებოდა აბორტის აკრძალვა მხოლოდ რელიგიური მოსაზრებით აგვეხსნა. მთავარი და მნიშვნელოვანი არის დემოგრაფიული ვითარების გაუარესება, თუმცა, მას ხელს უშლის არასახარბიელო სოციალური ფონი. მოდით, ამაზეც მოკლედ ვისაუბროთ.

– ამ შემთხვევაში სოციალური ფაქტორი ყველაზე მნიშვნელოვანია. ყველა ნორმალური ქალის ფუნქციაა შვილის გაჩენა. ქართველ ქალებს პირველი შვილის გაჩენა უჭირთ, მეორე მშობიარობა კი ჯანმრთელობისთვის კიდევ უფრო სასარგებლოა. თუმცა, მეხუთე მშობიარობის შემდეგ მდგომარეობა იცვლება, ამიტომაც მეტი შვილის გაჩენა მიზანშეწონილი არ არის. ცნობილი პოსტულატია – ერის რეკულტივაციისთვის, ანუ შენარჩუნებისთვის ერთ ქალზე 2,15 ბავშვი უნდა მოდიოდეს (ეს არის საერთაშორისო ინდექსი). ეს ნიშნული საქართველოში შენარჩუნებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ხდება არაქართველი მოსახლეობის ხარჯზე.

– როგორც ცნობილია, რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში აიკრძალა აბორტი თვითნებურად, პატრიარქის მოწოდებამდეც.

– ამას აკეთებენ ან მეტიჩრობის, ან საქმის უცოდინარობის გამო, სხვა არანაირი ახსნა ამას არა აქვს. დედა თუ იკეთებს აბორტს, ის დამნაშავე არ არის. მან უკეთ იცის, რა არის საჭირო მისი ჯანმრთელობისა და ოჯახისთვის, მისი არსებობისთვის, რა უფლებით ვერევით მის პირად ცხოვრებაში?! ამის გამო ის ციხეში უნდა ჩავსვათ? ერთ უბადურებას მეორე დავუმატოთ? ეს არის ჰუმანურობა? ამიტომ აბორტის აკრძალვა არ არის გამართლებული. ეკლესიის საქმე არ უნდა იყოს აკრძალვა, არამედ მისი წმინდა ვალია, ჩვენი საზოგადოების სულიერი აღზრდა, რასაც მიუძღვნა მთელი ცხოვრება მისმა სულიერმა მამამ. ასეთ სულიერ აღზრდაზე დაფუძნებული სულისკვეთებით შემდგომ თავად მიიღებს გადაწყვეტილებას დედაც და ექიმიც, ქვეყნის მოსახლეობა, საკანონმდებლო ორგანო, აკრძალოს თუ არა აბორტი.

ესაუბრა
თეა ᲛᲝᲡᲘᲐ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ თანახმად, მთავრობის წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი მთავრობის ახალ წევრს, პრეზიდენტის თანხმობით, ორი კვირის ვადაში ნიშნავს.

თანამდებობიდან წასვლის თაობაზე დავით კირვალიძის ცნობილი განცხადებიდან ორ კვირაზე მეტია გასული – ამ გადაწყვეტილების შესახებ კირვალიძემ კოლეგებს და მედიას 2 მაისს აცნობა, თუმცა, კირვალიძის სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ პრემიერ-მინისტრის განკარგულება 10 მაისით თარიღდება. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილს სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი 24 მაისისთვის დანიშნული უნდა ჰყავდეს.

აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ რაკი მთავრობაში ერთი წევრი შეიცვალა, მთავრობის ხელმძღვანელს პარლამენტისგან თანხმობის მიღება არ სჭირდება, თუმცა, პრემიერმა მომავალი მინისტრის კანდიდატურა პრეზიდენტთან უნდა შეათანხმოს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აუცილებლად უნდა ენერგეტიკული

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და

ENERGETIKA ნებისმიერი ქვეყნის საწარმოო ძალთა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველია. ენერგეტიკა უზრუნველყოფს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, ტურიზმის და, საერთოდ, ყველა დარგის სტაბილურ ფუნქციონირებას. ეკონომიკის მდგრადი განვითარება წარმოუდგენელია ენერგეტიკის მუდმივი განვითარების გარეშე. არ არსებობს მეორე დარგი, რომლის პარალიზება ისეთ კატასტროფულ გავლენას ახდენდეს ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ მიმართულებაზე (მათ შორის თავდაცვისუნარიანობაზე), როგორც ენერგეტიკა. ამიტომ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი სახელმწიფოს ხელისუფლების განსაკუთრებული კონტროლის ძვეშ უნდა იყოს (მიუხედავად საკუთრების ფორმისა). სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მდგომარეობაზე დიდწილადაა დამოკიდებული მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოება. ეს კი სახელმწიფოს მართვის ორგანოებისაგან ენერგეტიკის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას განაპირობებს.

სწორედ ამიტომ ენერგეტიკული პოლიტიკის მეცნიერულად დამუშავებასა და სწორად განხორციელებას ყველა ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა. გამონაკლისი არც საქართველო უნდა იყოს.

ენერგეტიკული პოლიტიკა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებით ეკონომიკის ყველა სფეროსა და მოსახლეობის ენერგეტიკული რესურსებით დაკმაყოფილების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და შესაძლო დამოუკიდებლობის მიღწევა. შედეგად, უზრუნველსაყოფია ეკონომიკის მდგრადი განვითარება, ასამაღლებელია მოსახლეობის ცხოვრების დონე და მივაღწიოთ საერთაშორისო ენერგეტიკულ სტრუქტურებში ინტეგრაციას. ენერგეტიკული პოლიტიკის როლი ქვეყნის ცხოვრებაში შეუფასებელია, მით უმეტეს თანამედროვე პირობებში, როდესაც უმრავლესი ქვეყნების განვითარების შესაძლებლობები პირდაპირ დამოკიდებულებაშია მათი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მდგომარეობაზე.

როდესაც ლაპარაკია ქვეყნის ენერგეტიკულ პოლიტიკაზე, როგორც წესი, მხედველობაშია პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსი ამ ქვეყნის ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. იგულისხმება როგორც პირველადი ენერგეტიკული რესურსების მოპოვება (თუ ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებულია ასეთი რესურსები), მათი გადამუშავება, ტრანსპორტირება (გადაცემა) და განაწილება, ასევე მათი შემოტანა ქვეყნის გარედანაც. მნიშვნელოვანია ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული რეზერვების შექმნაც, რათა ნებისმიერ პირობებში უზრუნველყოფილი იქნეს ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირება და მოსახლეობის ენერგიაშემცველებით მომარაგება. ხშირად სწორედ ენერგეტიკული პოლიტიკა დიდწილად განსაზღვრავს ეროვნული მეურნეობის წამყვანი დარგების და შესაბამისად მთლიანად ეკონომიკის ზრდის ტემპებს.

გამომდინარე აღნიშნულიდან სხვადასხვა ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგალითად, იმ ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკა, რომლებიც ნავთობისა და გაზის დიდ რესურსებს ფლობენ, ენერგეტიკული რესურსების მოპოვებისა და მოხმარების ისეთ სტრუქტურასა და ბალანსზეა დაფუძნებული, რომ ენერგეტიკული რესურსების ექსპორტით ქვეყანამ რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს. ხოლო ისეთი ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკა, რომლებიც სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით დეფიციტურ ქვეყნებს განეკუთვნებიან, წარმართულია სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის იმგვარად ოპტიმიზაციისაკენ, რომ, შესაძლოა, მაქსიმალურად შემცირდეს ქვეყნის დამოკიდებულება ენერგეტიკული რესურსების იმპორტზე. ამასთან, ყველა ქვეყანა თავისი ენერგეტიკული პოლიტიკის ფორმირებას იმგვარად ახდენს, რომ უზრუნველყონ ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება, აამაღლონ ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის დონე, გაითვალისწინონ გარემოს დაცვის საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები. ამისათვის უმეტესი განვითარებული ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკა ითვალისწინებს უპირატესად ენერგიის განახლებადი რესურსების ამოქმედებას (პირველ რიგში, ჰიდრორესურსებისა, თუ ასეთი რესურსები გააჩნიათ), ამასთანავე, ენერგიის ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენებას.

საქართველო სწორედ მეორე კატეგორიის ქვეყნებს მიეკუთვნება. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში 60% ზე მეტი იმპორტირებული ენერგიაშემცველებია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოს არ გააჩნია ნახშირწყალბადიანი რესურსების დიდი მარაგები, ხოლო არსებული მარაგების ათვისებაც არ ხდება შესაბამისი მოცულობით. ცხადია, პერსპექტივაში ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარების პირობებში, ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნა მკვეთრად მოიმატებს და დეფიციტი შესაძლებელია კიდევ უფრო გაიზარდოს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები სწორედ იქითკენ უნდა იქნან ორიენტირებული, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ქვეყნის დამოკიდებულება ენერგეტიკული რესურსების იმპორტზე.

ცხადია, ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის ის ძირითადი პრიორიტეტები, რაც თითქმის ყველა ქვეყნისათვის ზოგადია, საქართველოშიც უნდა იყოს დაცული. ასეთებია:

– ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის სრული და იმედიანი მომარაგება ყველა სახის ენერგეტიკული რესურსებით;

– ენერგეტიკულ რესურსებზე ისეთი ფასების დაწესება, რომლებიც, ერთი მხრივ, მომხმარებლისათვის მისაწვდომი იქნება, ხოლო, მეორე მხრივ, ენერგეტიკული რესურსების ეკონომიურად და ეფექტურად მოხმარების მასტიმულირებელი (ესე იგი, ხელოვნურ გადახრას არც ერთ მხარეს არ ექნება ადგილი);

– ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფაში კრიზისული სიტუაციების მინიმიზაცია, რაც ენერგეტიკული უსაფრთხოების იდენტურია;

– თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით და ენერგეტიკული სისტემის რეჟიმების ოპტიმიზაციით ენერგიაშემცველთა მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და განაწილების პროცესებში ხვედრითი დანახარჯებისა და დანაკარგების შემცირება;

– თანამედროვე ტექნოლოგიების, ხელსაწყოებისა და სამშენებლო მასალების დანერგვით ენერგეტიკული რესურსების ეკონომიური და ეფექტური გამოყენება;

– ენერგეტიკული კომპლექსის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა;

– ენერგეტიკის გარემოზე ტექნოგენური გავლენის მინიმიზაცია;

ამასთან, სახელმწიფოს როლი ენერგეტიკის სფეროს რეგულირებაში საკმაოდ გამოკვეთილი უნდა იყოს. იგი უნდა ახდენდეს კერძო ინვესტიციების წახალისებას, არეგულირებდეს ურთიერთობებს მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის, ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში აწესებდეს არადისკრიმინაციულ და ენერგეტიკული რესურსების ეფექტურად მოხმარების მასტიმულირებელ ტარიფებს, ახდენდეს ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, ენერგეტიკული ობიექტებისთვის გამოყოფდეს მიწის ნაკვეთებს, აწესებდეს ეკოლოგიურ მოთხოვნებს და ა.შ.

სახელმწიფოს ვალია, დაამუშაოს და აამოქმედოს ყველა ის აუცილებელი კანონი, სტანდარტი, ნორმა თუ წესი, რომელიც უზრუნველყოფს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ნორმალურ ფუნქციონირებასა და განვითარებას. გაუწიოს კოორდინაცია და კონტროლი ენერგოსისტემებისა და სხვა ენერგეტიკული ობიექტების მიერ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნორმების დაცვას. განკარგოს სახელმწიფო ენერგეტიკული რეზერვები (გაზსაცავები, ნავთობბაზები, წყალსაცავები და ა.შ.). გასცეს ენერგეტიკული ობიექტების ექსპლუატაციის და წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები და აკონტროლოს მათი პირობების დაცვა. სახელმწიფო ასევე ხელს უნდა უწყობდეს კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო მიმართულებების განვითარებას.

სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ენერგიადამზოგი ტექნოლოგიებისა და ხელსაწყოების დანერგვის მიმართულებით სამეურნეო სუბიექტებისა და ფიზიკური პირების ინიციატივები. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას, ასევე ქვეყნისათვის აუცილებელი სეზონური ენერგეტიკული მარაგების შექმნას (ბუნებრივი გაზი, ნავთობპროდუქტები, წყლის რესურსები). სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარება მოხმარებული ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის გადასახადის დაფარვაში.

საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს:

– სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ინოვაციების პოლიტიკას;

– საკადრო პოლიტიკას;

– სათბობ-ენერგეტიკული ბალანსების ფორმირებასა და მათ მუდმივ ოპტიმიზაციას;

– რეგიონალურ ენერგეტიკულ პოლიტიკას;

– ენერგეტიკული რესურსების დაზუსტებას;

– საგარეო ენერგეტიკულ პოლიტიკას;

– სოციალურ პოლიტიკას ენერგეტიკაში;

– ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზიდან გამომდინარე, ენერგეტიკული რესურსების მოხმარების პროგნოზის დამუშავებას (შესაძლო სცენარების გამოყენებით და პროდუქციის ენერგოტევადობის შემცირების გათვალისწინებით) და მისი დაფარვის გზების დადგენას აუცილებელი რეზერვების გათვალისწინებით. შესაბამისი საინვესტიციო რესურსების გაანგარიშებას და საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. პროგნოზი უნდა ითვალისწინებდეს ეკონომიკის განვითარების როგორც ზომიერ, ასევე ოპტიმისტურ სცენარებს. უნდა იქნას გათვალისწინებული ასევე მსოფლიო ეკონომიკური და ენერგეტიკული ბაზრების განვითარების კანონზომიერებანი. შესაბამისად, ენერგეტიკამ დადებითი როლი უნდა ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და არ გახდეს მისი დამამუხრუჭებელი ფაქტორი.

სახელმწიფომ მიზანმიმართულად უნდა იმოქმედოს ენერგეტიკის განვითარებისათვის, რისთვისაც მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს მისი, როგორც მარეგულირებელი ორგანოს როლი.

ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების ძირითადი მექანიზმები შეიძლება იყოს:

– სათბობ-ენერგეტიული კომპლექსის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნა (ტარიფები, გადასახადები, საბაჟო და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და სხვა);

– საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის დახვეწა და ევროპულთან ჰარმონიზაცია;

– სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგეტიკული ობიექტების მართვის ეფექტურობის ამაღლება;

– რაციონალური სათბობ-ენერგეტიკული ბალანსების ფორმირება.

რაციონალური სათბობ-ენერგეტიკული ბალანსების ფორმირების კუთხით ენერგეტიკული პოლიტიკის სტრატეგიული მიზანია ენერგორესურსების მოპოვების სტრუქტურის, შიდა მოხმარებისა და ექსპორტ-იმპორტის ოპტიმიზაცია ენერგეტიკული უსაფრთხოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ენერგეტიკული უსაფრთხოება ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ენერგეტიკული უსაფრთხოება, ეს არის ქვეყნის მოსახლეობისა და ეროვნული მეურნეობის უწყვეტი და სტაბილური ენერგომომარაგების დაცულობა შესაძლო საფრთხეებისაგან. ასეთი საფრთხეები შეიძლება იყოს როგორც ქვეყნის გარე ფაქტორებით გამოწვეული (გეოპოლიტიკური, მაკროეკონომიკური, კონიუნქტურული), ასევე შიდა ფაქტორებით, რაც განპირობებულია ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის მდგომარეობით.

ენერგეტიკული უსაფრთხოება შეიძლება განისაზღვროს ენერგეტიკული რესურსების საკმარისობით, ეკონომიკური ხელმისაწვდომობით და ეკოლოგიური და ტექნოლოგიური დასაშვებობით. რესურსების საკმარისობა ნიშნავს დეფიციტის გარეშე ენერგორესურსებით მოსახლეობისა და ეროვნული მეურნეობის დარგების ფიზიკურ უზრუნველყოფას. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ნიშნავს ასეთი უზრუნველყოფის რენტაბელობას ფასთა შესაბამისი კონიუნქტურის პირობებში. ეკოლოგიური და ტექნოლოგიური დასაშვებობა ნიშნავს ენერგორესურსების მოპოვების, გადამუშავების, წარმოებისა და მოხმარების ნებისმიერ ეტაპზე არსებული საუკეთესო ტექნოლოგიების გამოყენებით და ეკოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინებით ენერგეტიკული ობიექტის უსაფრთხო ფუნქციონირებას. გარდა აღნიშნულისა, ენერგეტიკული რესურსებით დეფიციტური ქვეყნებისათვის ენერგეტიკული უსაფრთხოება გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებს აყენებენ ენერგიაშემცველების ექსპორტიორი ქვეყნები. (მაგალითად, რუსეთისა და ევროპის, ან ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების კარტელი (OPEC) და იმპორტიორი ქვეყნების დამოკიდებულება).

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემებია:

– ნახშირწყალბადიანი რესურსების დიდი დეფიციტი. დღეისათვის საქართველოში მოხმარებული ნავთობპროდუქტების და ბუნებრივი გაზის თითქმის 100% იმპორტირებულია, იმ დროს, როდესაც არ ხდება არსებული რესურსების ნაწილობრივი მოპოვება მაინც. აღნიშნული დეფიციტის სრული აღმოფხვრა, ჩვენი აზრით, ვერც ახლო და ვერც შორეულ პერსპექტივაში ვერ მოხერხდება, თუმცა, იმპორტი გარკვეული დოზით შესაძლებელია ჩანაცვლებული იყოს ადგილობრივი რესურსებით.

– სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ინვესტიციების დაბალი დონე, რაც იმას განაპირობებს, რომ არა თუ ეკონომიკის წინმსწრები ტემპით არ ვითარდება ენერგეტიკა, არამედ ეკონომიკის ზრდის ტემპებსაც კი ვერ მიჰყვება ენერგეტიკის განვითარება;

– ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ტექნიკურად შესაძლებელი და ეკონომიკურად ეფექტური ნაწილის მხოლოდ 25%-ით ათვისება;

– ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების სეზონური უთანაბრობა;

– ბუნებრივი გაზის მოწოდება მხოლოდ ერთი ქვეყნიდან;

– ენერგიის განახლებადი რესურსების არასაკმარისი გამოყენება;

– საქართველოს ენერგეტიკული სამეცნიერო პოტენციალის გამოუყენებლობა.

ენერგეტიკაში შეფარული პრობლემებიც მრავალია, რომლებიც მაშინვე იჩენენ თავს, როგორც კი ეკონომიკა სწრაფი ტემპებით დაიწყებს განვითარებას, თუ აქედანვე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ ჩვეულებრივ პირობებში ყველა მომხმარებელი შეუზღუდავად იქნება დაკმაყოფილებული ენერგეტიკული რესურსებით, ხოლო სხვადასხვა სახის საგანგებო ენერგეტიკული მდგომარეობის დროს სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და მაგენერირებელი სიმძლავრეების სპეციალური რეზერვების შექმნით, მათი მოთხოვნილება მინიმალურად აუცილებელი მოცულობით დაკმაყოფილდება.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ასევე ენერგეტიკული რესურსების რეზერვების შექმნისათვის უნდა იყოს გადანაწილებული ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის, ასევე ენერგეტიკულ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის.

ზოგადად უსაფრთხოება, როგორც აღვნიშნეთ, ეს არის პიროვნების, საზოგადოე-

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შევქმნათ ქვეყნის კონსტიტუცია!

სტრატეგიის დამუშავება გადაუდებელი საქმეა!

ბის და სახელმწიფოს ინტერესების დაცულობა შიდასახელმწიფოებრივი და გარე საფრთხეებისაგან. ენერგეტიკული უსაფრთხოება სწორედ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. თანაც, ეს შესაძლებლობები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგი სპეციალისტი სახელმწიფოს უსაფრთხოებას და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას აიგივებს კიდეც.

ენერგეტიკული უსაფრთხოებაში ენერგეტიკული პოლიტიკის რამდენიმე მიმართულება შეიძლება გამოვყოთ, რომლებიც ქვეყნისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია:

საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს ინვესტიციების მოცულობის ზრდისათვის სახელმწიფოს მხრიდან ხელის შეწყობას, რაც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით უნდა იყოს მოწესრიგებული. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ისეთი კანონები და დააწესოს ისეთი ნორმები, რომლებიც ინვესტორს დაარწმუნებს, რომ საქართველო არ არის ინვესტიციებისათვის მაღალი რისკის ქვეყანა.

ლობისა და ექსპლუატაციისათვის გარემოზე ტექნოგენური ზემოქმედების შემცირების ნორმების დამუშავება;

– გარემოს დაცვის მიმართულებით მუშობისათვის სპეციალისტების მომზადება.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო იქნება ისეთი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დამუშავება, რომელიც, ერთი მხრივ, ინვესტიციების ზრდის მასტიმულირებელი იქნება, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულებას.

საგარეო ენერგეტიკულმა პოლიტიკამ პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისი ენერგეტიკულ სივრცეში.

იმის გამო, რომ საქართველოს არ გააჩნია ენერგეტიკული რესურსების საექსპორტო მოცულობები (გარდა პიკური ელექტრული სიმძლავრეებისა), მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ნავთობის, გაზისა და ელექტროენერგიის სატრანზიტო პოტენციალი, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის მხარდაჭერა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით (სახელმწიფო ელექტროსისტემის ობიექტები, ელექტროსადგურები, მაგისტრალური მილსადენები და ა.შ.).

ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა. კაცობრიობას დღეისათვის გააჩნია ენერგიის მიღების სამი წყარო: წიაღისეული (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, ტორფი და სხვა), ბირთვული და განახლებადი (ჰიდრო, მზე, ქარი და ა.შ.). ბირთვულ ენერგიას გააჩნია პოტენციური საშიშროება, რომელიც შეიძლება კატასტროფაში გადაიზარდოს. განახლებადი ენერგიის ისეთი სახეობების ტექნოლოგიები კი, როგორიცაა მზე, ქარი, ბიომასები, ჯერჯერობით, ვერ არის ისეთ დონემდე აყვანილი, რომ მთლიანად ჩაანაცვლონ წიაღისეული სათბობი. თუმცა, მთავარია, რომ ენერგიის ნებისმიერ წყაროს გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები, რაც გარემოზე ტექნოგენური გავლენით გამოიხატება და ენერგეტიკის განვითარების პროგრამების დამუშავების პროცესში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გავლენა გარემოზე საკმაოდ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ეს ეხება თბოელექტროსადგურებს, რომელთა ნამწვი აირების შემადგენლობაში მაღალი კონცენტრაციითაა მავნე ნივთიერებები, რის გამოც ხდება ატმოსფეროს დაბინძურება.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე განხილვის საგანი უნდა იყოს ჰიდროელექტროსადგურების გავლენა გარემოზე. გარემოზე გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენენ როგორც მარეგულირებელი (წყალსაცავიანი), ასევე სეზონური ჰიდროელექტროსადგურები.

აღნიშნული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს გარემოზე ენერგეტიკის ტექნოგენური გავლენის მინიმიზაცია. ამისათვის კი საჭიროა:

– ენერგორესურსების მოპოვების, გადამუშავებისა და მოხმარების პროცესებში ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა. ამავე პროცესებისათვის გარემოს დაცვის თვალსაზრისით მკაცრი მოთხოვნების დაწესება;

– საინვესტიციო პროექტების განხორციელების პროცესებში ეკოლოგიური მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის დაწესება;

– ნახშირების ენერგეტიკულად გამოყენების შემთხვევაში მხოლოდ თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა წვის პროცესების დანერგვა;

– ბიოსაწვავისა და ბიოდანამატების გამოყენება საავტომობილო ტრანსპორტში;

– ჰიდროელექტროსადგურების მშენებ-

ენერგიაშემცველთა ტრანზიტის მოცულობის გაზრდა კი გააძლიერებს საქართველო პოზიციებს საერთაშორისო სივრცეში;

მსხვილი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს თანადაფინანსება;

საქართველოს დიპლომატიური კორპუსმა უნდა გააააქტიუროს მუშაობა ენერგეტიკაში ინვესტიციების მოსაზიდად;

უნდა წარიმართოს მუშაობა ჰიდროსადგურების პიკური სიმძლავრეებისა და ენერგიის ექსპორტის სანაცვლოდ ბაზისური სიმძლავრეებისა და ენერგიის იმპორტის განხორციელებისათვის და სხვა.

რეგიონალური პოლიტიკის ძირითადი მიზანია ადგილებზე სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და მაგენერირებელი სიმძლავრეების სპეციალური რეზერვების შექმნა, რათა სხვადასხვა სახის საგანგებო ენერგეტიკული მდგომარეობის დროს რეგიონების მოთხოვნილება ენერგეტიკულ რესურსებზე მინიმალურად აუცილებელი მოცულობით დაკმაყოფილდეს.

ენერგოეფექტურობის პოლიტიკა ითვალისწინებს ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხელსაწყოების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ, ენერგეტიკული რესურსების ეკონომიას, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებლის ფინანსური ბიუჯეტის ეფექტურ გამოყენებას. უნდა ამოქმედებული იქნას ისეთი მნიშვნელოვანი რეზერვი, როგორიცაა შენობების გარე ზღუდარების თბოიზოლაციის გაზრდის შედეგად თბომომარაგებასა და კონდიციონირებისათვის ენერგეტიკული რესურსების დაზოგვა. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი მნიშვნელოვან თანხას დაზოგავს შენობის გათბობა-გაგრილების პროცესებისათვის, მეორე მხრივ კი, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, შემცირდება იმპორტირებულ ენერგეტიკულ რესურსებზე დამოკიდებულება და, შესაბამისად, ამაღლდება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული დამოუკიდებლობა.

ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების პოლიტიკა. ენერგიის განახლებად წყაროებს, საერთაშორისო კლასიფიკაციით, განეკუთვნებიან მცირე ჰესები, მზის ენერგია, ქარის ენერგია, ბიომასის ენერგია, გეოთერმული წყლების ენერგია, ტალღების ენერგია და სხვა. ამ მიმართულებით ენერგეტიკულმა სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს პერსპექტივის რომელ ეტაპზე განახლებადი ენერგიის რომელი წყაროები რა დონით უნდა იქნან ჩართული ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში.

მწვანე ტარიფის პოლიტიკა, რომლის ძირითადი პრინციპებია:

– ენერგიის განახლებადი წყაროების ელექტრულ ქსელთან მიერთების გარანტია;

– ენერგიის განახლებადი წყაროების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული მოცულობით შესყიდვის გრძელვადიანი კონტრაქტის უზრუნველყოფა,

– ენერგიის განახლებადი წყაროების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულებაზე დანამატის უზრუნველყოფა.

ენერგეტიკული სტრატეგიის დამუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვა ქვეყნებზე ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირებას. სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შესაძლებელია სხვა ქვეყნებზე ენერგეტიკული დამოკიდებულების საგრძნობლად შემცირება. ამის მიღწევა კი, შესაძლებელია ზოგიერთ პროცესებში იმპორტირებული ენერგეტიკული რესურსების ადგილობრივით ჩანაცვლებით. მაგალითად, საჭმლის მომზადების პროცესებში ბუნებრივი გაზის ელექტროენერგიით ჩანაცვლება, რითაც არა მარტო გაიზრდება ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხი, არამედ საგრძნობლად გაჯანსაღდება ჰაერი ბინებში. თუ შენობების გათბობა-ცხელწყალმომარაგებისთვის მასობრივად დაინერგება მზის კოლექტორები, საგრძნობლად შემცირდება ამ მიზნით იმპორტირებული ბუნებრივი გაზის გამოყენება. საავტომობილო ბიოსაწვავის წარმოება გარკვეულწილად შეამცირებს საწვავის იმპორტის მოცულობას და ა.შ.

კიდევ მრავალი საკითხი უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის დოკუმენტში. ერთი კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკისა და სტრატეგიის დამუშავების პროცესი, რაგინდ ხანგრძლივიც არ უნდა იყოს, ვერანაირად ვერ შეუშლის ხელს ენერგეტიკის განვითარების არსებული პროექტების განხორციელებას.

იმისათვის, რომ ყველაფერი აღნიშნული შესრულდეს, პირველ რიგში აუცილებელია საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი განხორციელების სტრატეგიის დამუშავება. ასეთი გზით მიდის პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის დამუშავება საკმაოდ ხანგრძლივი და მეცნიერებატევადი პროცესია, არცერთ ქვეყანას არ აურჩევია სხვა ქვეყნის შესაბამისი დოკუმენტის გადმოწერისა და საკუთარ სტრატეგიად წარმოჩენის გზა. არ არსებობს ორი ქვეყანა, რომელთა რესურსები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურები და დონეები, სხვადასხვა სახის მოთხოვნები ერთმანეთს ემთხვეოდეს. გამომდინარე იქიდან, რომ როგორც მსოფლიოში მთლიანად, ასევე ყველა ქვეყანაში მდგომარეობა მუდმივად ცვალებადია ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის დამუშვებისა და კორექტირების პროცესი უმრავლეს ქვეყნებში მუდმივად მიმდინარეობს. **სწორედ ამიტომ საქართველოში ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის დასამუშავებლად უნდა შეიქმნას მაღალი დონის პროფესიონალებისაგან დაკომპლექტებული მუდმივმოქმედი სტრუქტურა, რომელიც, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უშუალოდ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში იქნება. პოლიტიკისა და სტრატეგიის დასამუშავებლად პირველ ეტაპზე საჭიროდ (და აუცილებლად) მიგვაჩნია უცხოელი სპეციალისტების ჩართვა, რომლებსაც ასეთი დოკუმენტების დამუშავების დიდი გამოცდილება გააჩნიათ. სწორედ საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდება სრულყოფილი დოკუმენტის შექმნა, რომელიც გახდება საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ძირითადი დოკუმენტი – საქართველოს ენერგეტიკული კონსტიტუცია. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, იგივე სტრუქტურის საშუალებით, დამუშავდება საჭირო კანონპროექტები და ნორმატიული აქტები, ენერგეტიკის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგრამები და პროექტები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული მეურნეობის მდგრად და დინამიკურ განვითარებას, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, სამუშაო ადგილების შექმნას და სამუშაო პირობების საერთაშორისო სტანდარტების დონემდე ამაღლებას.**

რევაზ არველაძე,
საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

◎ ინფორმაცია

ამერიკამ ტოლერანტობა როგორ უნდა გვასწავლოს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების 2012 წლის ანგარიშში წინწყაროში, ნიგვზიანსა და თეთრიწყაროში განვითარებული მოვლენები მოხვდა.

დოკუმენტში საუბარია სიძულვილის ენის ხშირ გამოყენებასა და ბათუმში აზიზიეს მეჩეთის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებზეც.

ანგარიში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რამდენიმე თემატური ნაწილისგან შედგება, რომელთა შორისაა – რელიგიური დემოგრაფია; ხელისუფლების პატივისცემა რელიგიური თავისუფლებისადმი; საზოგადოების პატივისცემა რელიგიური თავისუფლებისადმი და აშშ-ის სახელმწიფო პოლიტიკა.

ქვეთავში, სახელწოდებით რელიგიური დემოგრაფია, აღნიშნულია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, მოსახლეობის რაოდენობა 4,5 მილიონს შეადგენს, რომელთა 84% მართლმადიდებელია, 10% - მუსულმანი, ხოლო 4% - სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მრევლი.

ანგარიშის თანახმად, ეთნიკური ქართველების უმეტესობა მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლია, თუმცა, ეთნიკური რუსები ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვა ორთოდოქსალური ჯგუფების წარმომადგენლები არიან, როგორიცაა დუხობორები, სტაროვერები და ა.შ.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური აზერბაიჯანელი, რწმენით კი მუსულმანია.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ცალკეულ მუსულმანურ ჯგუფებში შედიან ეთნიკური ქართველებიც აჭარიდან. რაც შეეხება ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას, ანგარიშში ნათქვამია, რომ ისინი ძირითადად სომხეთის სამოციქულო ეკლესიის წევრები არიან და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესობას წარმოადგენენ.

– კათოლიკეები, ქურთები, ბერძენი ორთოდოქსები და იუდეველები მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებს შეადგენენ. „არატრადიციული“ რელიგიური დაჯგუფებები კი, როგორებიც არიან ბაპტისტები, იეჰოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები, ერთობლივად მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებს შეადგენენ“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ქვეთავში, სახელწოდებით ხელისუფლების პატივისცემა რელიგიური თავისუფლებისადმი, აღნიშნულია, რომ კონსტიტუცია და სხვა კანონები რელიგიურ თავისუფლებას იცავენ.

– ხელისუფლებამ ეფექტურად არ უპასუხა ხალხის ძალისხმევას რელიგიური უმცირესობების უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ხელისუფლება განაგრძობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ მოქმედებას სადავო საკუთრების აღდგენაში. ამ ყველაფერმა კი, ბიძგი მისცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირებულ იურიდიულ და საგადასახადო სტატუსს, ეკლესიის არასრულ გამოყოფას სახელმწიფოსა და სახელმწიფო სკოლებისგან. ცალკეული კანდიდატები საპარლამენტო არჩევნების კამპანიისას იყენებდნენ რელიგიურად არატოლერანტულ რიტორიკას. იყო ინფორმაცია საზოგადოების მხრიდან რელიგიურ საფუძველზე ცუდი მოპყრობისა და დისკრიმინაციის შესახებ – რწმენასა თუ პრაქტიკაში. იყო ანგარიშები რელიგიურ ნიადაგზე დევნის, რელიგიურ რიტუალებში ხელშეშლის, ფიზიკური ანგარიშსწორების, შევიწროებისა და ვანდალიზმის შესახებ. აშშ-ის საელჩოს ჰქონდა რეგულარული კონტაქტი როგორც ხელისუფლების, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და აქტიურად უჭერდა მხარს რელიგიურ თავისუფლებას. საელჩო მასპინძლობდა და მონაწილეობდა რელიგიური განსხვავებისა და ტოლერანტობისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. საელჩოს წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებოდნენ რელიგიურ არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიდერებს რელიგიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, – ნათქვამია ანგარიშის შესავალში.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო სახელის გამტეხი მარაგებისგან გათავისუფლდება

საქართველოს ხელისუფლება გვპირდება მკვეთრად შეზღუდოს მოქალაქეთა კერძო ცხოვრებისთვის თვალყურის დევნების პრაქტიკა — ამისთვის უკვე უახლოეს მომავალში იგეგმება შეტანილი იქნეს ცვლილებები კანონმდებლობაში. მაგრამ თავდაპირველად შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გაანადგუროს მოქალაქეთა ინტიმური ცხოვრების უზარმაზარი არქივი, რომელიც შექმნეს სპეცსამსახურებმა წინა მთავრობის დროს. ექსპერტებს კი მიაჩნიათ, რომ ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის აკრძალვა მაინც არ მოხერხდება, ამ საკითხის ინიციირება კი პრემიერ ივანიშვილის ახალი დარტყმაა პრეზიდენტ სააკაშვილის მისამართით.

ქვეყნის ახალი ხელისუფლება გვპირდება, შეიზღუდოს მოქალაქეებისთვის თვალყურის დევნება

მოსმენებისა და თვალყურის დევნების საკითხზე დისკუსიის ინიციატორები საქართველოს არაკომერციული ორგანიზაციები გახდნენ. **„ასეთი პრაქტიკა დაუშვებლად მიგვაჩნია და გამოვდივართ მკაცრი საკანონმდებლო რეგულირების მომხრეებად“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს არაკომერციულმა ორგანიზაციამ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.

ხელისუფლება მზადყოფნით გამოეხმაურა ინიციატივას. **„საკითხი შეეხება არა მხოლოდ მოქალაქეთა საუბრების მოსმენას, არამედ ინფორმაციის საიდუმლო მიღებასაც კომუნიკაციების სხვადასხვა უწყებებიდან, მათ შორის კომპიუტერებიდანაც, საიდუმლო ვიდეო-აუდიო ჩანაწერებიდანაც, აგრეთვე კინო და ფოტო გადაღებებიდანაც, რასაც ფართოდ იყენებდა ყოფილი მთავრობა“,** — გვაცნობეს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურში.

მოსმენის კანონიერების თემა პირველად წამოიწია 2012 წლის პარლამენტის არჩევნების დროს, როდესაც ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა. **„შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოვაჩინე რამდენიმე ჩემოდანი მოქალაქეთა ინტიმური ცხოვრების ჩანაწერებით, რომლებსაც იყენებდნენ მათი დაბეზღებისთვისა და შანტაჟისთვის“,** — განმარტა საქართველოს შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მას შემდეგ უკანონო მოსმენებისა და დევნისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით დააპატიმრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსტიტუციო უზრუნველყოფის დეპარტამენტის რამდენიმე მაღალი რანგის ჩინოვნიკი, მათ შორის ყოფილი მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა უკვე გამოაცხადა, რომ **„ბინძური არქივი მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ, შეთხზული ყოფილი ხელისუფლების მიერ, მალე განადგურდება ჟურნალისტურ გაერთიანებათა და არასამთავრობო კომერციულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით“.** სხვათა შორის, მისი სიტყვებით, არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ არ იყოს ვიდეოჩანაწერების ასლები. **„ეს ჩანაწერები სჭირდებოდა პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდს შემოქმედებითი ინტელიგენციისა და პოლიტიკური პარტიების ცნობილ წარმომადგენელთა დაშანტაჟებისთვის, რომელთა პირად ცხოვრებასაც იღებდნენ ვიდეოზე“,** — განაცხადა მინისტრმა.

პრეზიდენტის პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ამტკიცებენ, რომ, თუ სპეციალური სამსახურები კიდეც იღებდნენ ასეთ კადრებს, მხოლოდ ოპერატიული მიზნით და სასამართლოს სანქციით. **„უტყუარი ფაქტია ის, რომ ეს კადრები ადრე არასოდეს ქვეყნდებოდა, მაგრამ პარლამენტის არჩევნების შემდეგ ჩინოვნიკებმა დაიწყეს მათი გამოყენება შანტაჟისთვის და ინტერნეტში გამოქვეყნებისთვის“,** — განუცხადა ჩვენს გაზეთს დეპუტატმა ამ პარტიიდან დავით დარჩიაშვილმა. საკითხი შეეხება სკანდალს ცნობილი ჟურნალისტის გიორგი ფარესაშვილის ინტიმური სცენების ჩანაწერების პუბლიკაციასთან დაკავშირებით. ჟურნალისტს უკვე ახალი ხელისუფლების დროს აშანტაჟებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილე გელა ხვედელიძე, რომელიც მოითხოვდა ჟურნალისტური გამოძიების შეწყვეტას. შედეგად ჩინოვნიკი დააპატიმრეს პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევის ბრალდებით.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

რუსეთისკენ მოუხედავად

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა თავისი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ. ადრე თავის პიროვნებასთან დაკავშირებით ისაუბრა მმართველმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, რომელმაც პრეზიდენტობის კანდიდატად ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი დაასახელა. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა სურს მხოლოდ ერთ კანდიდატს და მას დიდი შანსები არ გააჩნია.

საქართველოში სააკაშვილის მემკვიდრის ადგილზე არაოფიციალური რბოლა დაიწყო

საქართველოში ჩამოყალიბდა პოლიტიკოსების ჯგუფი, რომლებმაც განაცხადეს სურვილი, მიიღონ მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში ოქტომბერში. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციასთან ერთად მისი ხელისუფლება კიდევ უფრო შეკვიწროვდება, ზოგიერთი მისი უფლება გადავა მთავრობაზე, მაგრამ მსურველთა ოდენობა, მიიღონ მონაწილეობა უმაღლესი პოსტისთვის ბრძოლაში, მაინც დიდია.

„ყოველთვის ვუძახი გიორგის“

მოძმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამთავრებს თავის მეორე ვადას და არ გააჩნია უფლებები, მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. ადრე მან თავმდაბლურად გამოხატა მზადყოფნა, გახდეს მომავალი ლიდერის მრჩეველი.

წინა დღით გახდეს დამოუკიდებელი კანდიდატი, განაცხადა საგარეო საქმეთა ექსმინისტრმა, პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზარაბიშვილმა, რომელმაც ისურვა „ხალხის რეალური მხარდაჭერა“. მას მიაჩნია, რომ პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს და არ იყოს იგი დამოკიდებული ერთ პოლიტიკურ ჯგუფზე. საფრანგეთში ქართველ ემიგრანტთა ოჯახში აღზრდილი ზურაბიშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ედგა 2004-2005 წლებში, თანაც იგი ერთდროულად რჩებოდა საქართველოს და საფრანგეთის მოქალაქედ. თავის წარმატებად იგი მიიჩნევს მოლაპარაკებას რუსეთის ხელმძღვანელობასთან, რის შედეგადაც მოსკოვი დათანხმდა გაიყვანოს თავისი სამხედრო ბაზები რესპუბლიკიდან.

დღემდე ზურაბიშვილი ითვლებოდა ერთ-ერთ საალბათო კანდიდატად მმართველი „ქართული ოცნებიდან“. მაგრამ შაბათს პრემიერ-მინისტრმა, „ქართული ოცნების“ ლიდერმა და სხვათა შორის, შეთავსებით საქართველოსა და საფრანგეთის მოქალაქემაც, ბიძინა ივანიშვილმა მოულოდნელად სხვა კანდიდატი დაასახელა. იგი გახდა განათლების მინისტრი, ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი.

პოლიტიკაში მოსვლამდე მარგველაშვილი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში და თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, თანამშრომლობდა ამერიკის საერთაშორისო ურთიერთობათა ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან. ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

„ჩემი აზრით, ამ ადამიანს აქვს ყველა დადებითი თვისება უხვად, რომ იყოს კარგი პრეზიდენტი... როდესაც ყველაზე მეტად მჭირდება, ყოველთვის ვუძახი გიორგის“, — განაცხადა ივანიშვილმა.

სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გვპირდება დაასახელოს თავისი კანდიდატი პრაიმერიზების შემდეგ. მათში მონაწილეობას აპირებენ პარლამენტის ექსსპიკერი დავით ბაქრაძე, ევროინტეგრაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ყოფილი ხელმძღვანელები გიორგი ბარამიძე და ვანო მერაბიშვილი.

ამავე დროს სააკაშვილმა ივარაუდა, რომ ივანიშვილი გადაიფიქრებს და უკანასკნელ მომენტში „ქართული ოცნებიდან“ არჩევნებზე დასახელდება სხვა კანდიდატი, და არა მარგველაშვილი. **„პრემიერ-მინისტრი ხშირად იცვლის თავის აზრს და არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე თვის განმავლობაში იგი კვლავ შეცვლის თავის აზრს ამ კანდიდატურასთან დაკავშირებით“,** — შენიშნა სააკაშვილმა.

„საზოგადოება დაიღალა ჩვენი მმართველობისგან“

თავის მხრივ, „დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელებს პარლამენტის ექსსპიკერ ნინო ბურჯანაძეს, ერთადერთს იმ კანდიდატებიდან, რომელიც მოუწოდებს აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობანი რუსეთთან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ, თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა რაციონალურად მოეკიდება არჩევნებს და შეისწავლის კანდიდატების პროგრამას, **„მაშინ მარგველაშვილს თითქმის აღარ დარჩება გამარჯვების შანსები“. „მაგრამ, თუ მთავარ როლს შეასრულებს ივანიშვილის ფაქტორი, თუ კვლავ ძველებურად იბატონებს იმედი სასწაულზე, რაც უნდა მოახდინოს მილიარდერმა, მაშინ გაიმარჯვებს მარგველაშვილი“,** — უთხრა დარჩიაშვილმა ჩვენს გაზეთს.

პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ პრემიერის რეიტინგი მცირდება და ეს ტენდენცია გაგრძელდება არჩევნებამდე, **„ვინაიდან ივანიშვილს არ გააჩნია რეალისტური შეხედულებები არც საგარეო პოლიტიკაზე, არც ეროვნულ ინტერესებზე, არც ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე“.**

„ბურჯანაძე ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს“

ევრაზიის საქართველოს ცენტრის დირექტორი გულბაათ რცხილაძე დარწმუნებულია, რომ გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში მარგველაშვილს დარჩება. „იმ პირობებში, როდესაც ივანიშვილი ინარჩუნებს ძალიან დიდ პოპულარობას, მის მიერ დასახელებულ კანდიდატს აქვს ყველაზე უკეთესი შანსი. თუმცა, დამოუკიდებელმა კანდიდატებმა შეიძლება შექმნან კონკურენცია“, — იწინასწარმეტყველა რცხილაძემ ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.

პოლიტიკოსი არ არის გაკვირვებული იმით, რომ კანდიდატი გახდა განათლების მინისტრი, მაშინ, როდესაც ნათელმა და გავლენიანმა თავდაცვის მინისტრმა ალასანიამ უარი განაცხადა თავის გეგმებზე.

მართალია, მარგველაშვილი მხარს უჭერს დასავლურ ღირებულებებს, პოლიტოლოგის სიტყვებით, „ის მეტად პრაგმატულად უყურებს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებს და მზადაა მოსკოვთან დიალოგისთვის“. რაც შეეხება ბურჯანაძეს, დარწმუნებულია ექსპერტი, „იგი ბოლომდე არ აკეთებს თავის პოზიციონირებას როგორც რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკოსი“.

„ბურჯანაძე ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს დიდი მიდრეკილებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისკენ, — აკეთებს პროგნოზს პოლიტოლოგი. — რასაკვირველია, იგი ხმების ზოგიერთ ოდენობას წაართმევს მთავარ კანდიდატს, მაგრამ მის გამარჯვებას არ უნდა ველოდებოდეთ“.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ტიმოშენკომ გახსნა ინტერნეტ-დღიური „სიმართლე გისოსებს მიღმიდან“

მსჯავრდადებული, უკრაინის ექსპრემიერი განმარტავს, რომ მისი დღიური — „ეს არის საუბარი პროკურორებისა და ციხის მსახურთა უპატიოსნობის შესახებ. რეალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი, ვინც უნდა იცავდეს კანონს, სინამდვილეში უმალავენ საზოგადოებას სიმართლეს“. თავის ჩანაწერებს ტიმოშენკო აკეთებს ხელით, შემდეგ მათ გადასცემს ადვოკატების მეშვეობით.

* * *

ოკლაჰომაში „მონსტრმა-ტორნადომ“ 90-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათობით ბავშვია დაღუპული

ბარაკ ობამამ შტატის რამდენიმე რაიონი სტიქიური უბედურების ზონად გამოაცხადა. გრიგალის ძაბრის შიგნით ქარის სიჩქარემ 200 მილს მიაღწია საათში, სიგანე კი დაახლოებით 2 მილს აღწევს. გრიგალს მიენიჭა სიმძლავრის მეოთხე კატეგორია ხუთიდან. „ეს იყო როგორც ფილმში. ჰაერში დაფრინავდნენ ცხენები და ყველაფერი ამ დედამიწაზე“, — გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებას თვითმხილველები.

* * *

ისრაელის არმიის პატრულს კვლავ გაუსროეს ცეცხლი სირიის მხრიდან, განხორციელდა საპასუხო დარტყმაც

ისრაელის მხრიდან დაზარალებულები არ არიან, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება. საპასუხოდ ისრაელელმა ჯარისკაცებმა განახორციელეს საპასუხო დარტყმა იმ წერტილში, საიდანაც ისროდნენ. დადასტურებულია ზუსტი დარტყმა მიზანში. სირია დანარკარგებისა და ზარალის შესახებ ჯერჯერობით არ იტყობინება.

* * *

ობამამ ლამის უკანასკნელმა თეთრ სახლში გაიგო საგადასახადო სამსახურის შემოწმებათა სკანდალების შესახებ

პრესმდივანმა ჯეი კარნიმ დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მომხდარის შესახებ გაიგო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნების შემდეგ. ეს მოხდა 10 მაისს, ამ დროს ჯერ კიდევ 24 აპრილს გამოკვლევის შესახებ უკვე იცოდა თეთრი სახლის მრჩეველმა კეტრინ რუმლერმა. კარლი შეეცადა განემარტა, თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წლები, რომლებიც მუდამ შენთან არის

პირობისამებრ მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძის მოგონებათა წიგნიდან, რომელიც მალე იხილავს მზის სინათლეს.

ასე დაიწყო

ჩვენ დროს XX ს.50-იან წლებში მოდაში იყო „სასოფლო“ და სკოლის დამთავრების შემდეგ მეც ამ ინსტიტუტს მივაშურე, რომელიც მაშინ ვაკეში, სტუდქალაქთან მდებარეობდა. საინტერესო იყო მაშინდელი სტუდენტური ცხოვრება. გარდა სწავლისა, შეგეძლო თავი „გამოგეჩინა სპორტში, ხელოვნებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩემი თაობის ბიჭები ფეხბურთის ფანები ვიყავით. მეც არა მიშავდა, ისე ვთამაშობდი და ინსტიტუტის ნაკრებთან ერთად, ამიერკავკასიის ოლიმპიადის ჩემპიონიც კი გავხდი, რაც დღემდე მეამაყება. 1957 წელს, ქ.ლაიპციგში, სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაშიც მივიღე მონაწილეობა, ეს იყო ჩემი პირველი გასვლა საზღვარგარეთ.

სტუდენტობის შემდეგ იყო ასპირანტურა, რომლის სამი წელიწადი მსოფლიოში ცნობილ, მოსკოვის ეკონომიკურ-მათემატიკურ კვლევით ინსტიტუტში გავატარე. იქ შევხვდი აკადემიკოს ნიკოლაი ფედორენკოს, რომელიც ინსტიტუტის დირექტორი და ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო. მას განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ქართველებთან. სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება მისი მაღალი ინტელექტი და ფართო სულიერი სამყარო.

1964 წელს, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით თბილისში დავბრუნდი. ერთხანს კვლევით დაწესებულებებში ვმუშაობდი, 1968 წელს კი ჩემი აღმზრდელისა და საყვარელი პედაგოგის, პროფესორ ნიკოლოზ ლაჭყეპიანის მიწვევით „სასოფლოში“ გადავედი, სადაც 1972 წელს ეკონომიკის კათედრის გამგედ ამირჩიეს.

მალე, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე გახდა, რომელმაც სამთავრობო სტრუქტურებში, სამეცნიერო სფეროში დასაქმებული ახალგაზრდა მეცნიერები ჩართო. მის თვალსაწიერში, მეც მოვხვდი. 1975 წელს მასთან დამიბარეს. ბატონი ედუარდი ფეხზე ამდგარი შემხვდა (მას ყამირის დროიდან ვიცნობდი).

— ნაპოლეონ, — მოსალმების გარეშე დაიწყო მან — ცკ-ის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად შენი დანიშვნის შესახებ. საკითხი შეთანხმებულია საკავშირო ცკ-სთან (!), სსრ კავშირის უმაღლესი განათლებისა და საკავშირო სოფლის მეურნეობის მინისტრებთან. ისინი ხვალისთვის გელოდებიან!

— კი მაგრამ?! — რაღაცის თქმას ვაპირებდი.

— ნაპოლეონ, 10 თვეა სოხუმში რექტორი ვერ დავნიშნეთ. დაჭამეს იქაურმა ქართველებმა ერთმანეთი. ჩვენ, თხოვნით მოგვმართა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც, რათა კადრი თბილისელებისგან შეგვერჩია. არჩევანი შენზე შევაჩერეთ, ყოყმანის დრო აღარაა — თქვა მან, ჩემი ანკეტა გადაფურცლა და განაგრძო: — კარგი ანკეტა გაქვს, ყამირზეც ხარ ნამყოფი, ასაკიც გიწყობს ხელს. ჩვენგან მხარდაჭერა გექნება — შემდეგ ჩაფიქრდა და ხმადაბლა თქვა — რექტორობას აფხაზეთში პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. თუ არ ჩავთვლით ქართულ სკოლებს, ეს ერთადერთი ქართულენოვანი დაწესებულებაა, რომელშიც სწავლობენ და მუშაობენ აფხაზებიც. ჩვენ შენი იმედი გვაქვს — დაამთავრა საუბარი, კარებამდე მიმაცილა და დამემშვიდობა.

მაშ ასე, პირიც არ გამაღებინა, ისე მანდო რექტორობა იმ ინსტიტუტისა, რომლის ადგილმდებარეობაც კი არ ვიცოდი, მაგრამ საქმე უკვე დაძრული იყო და მე მას, ვეღარ შევაჩერებდი.

მოსკოვში ჩასულს, საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლები დამხვდნენ, რომლებმაც ყველა საჭირო პროცედურა და შეხვედრა, ოპერატიულად მოაგვარეს და მეორე დღის ბოლოს, ხელში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის, სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრის დ.პოლიანსკის მიერ ხელმოწერილი ბრძანება მომცეს და სოხუმში გამომისტუმრეს.

ახლაც მახსოვს, პირველი მისვლა ინსტიტუტში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ საყვარელიძემ და საქართველოს კომპარტიის სოხუმის ქალაქკომის პირველმა მდივანმა გიორგი ჟორჟოლიანმა წარმადგინეს კოლექტივთან. ბარემ აქვე ვიტყვი, ამ ორმა ადამიანმა დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ მე თავი აფხაზეთში კომფორტულად მეგრძნო. დიდი მადლობა მათ ამისთვის.

ინსტიტუტში მისვლისას, უპირველეს ყოვლისა, „თვალი მომჭრა“ კელასურის პლატოზე აღმართულმა ულამაზესმა ნაგებობამ, რომელიც ზღვიდან თეთრ ლაინერს წააგავდა. გამაოცა იმანაც, რომ ინსტიტუტის სააქტო დარბაზში სამეცნიერო საბჭოს წევრების გარდა, რომელთა შორის ბევრი სახელგანთქმული მეცნიერიც იყო, დამხვდნენ სოხუმის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. მახსოვს აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივნის, პოეტ გენო კალანდიას სიტყვები: „აფხაზეთის ქართული ინტელიგენცია თქვენს გვერდით გვიგულეთო“... მაშინ ვიგრძენი ის დიდი ტვირთი, რომელიც უნდა ეტარებინა ქართული ინსტიტუტის ხელმძღვანელს.

გადაჭედილი სააქტო დარბაზი, ჩემდა გასაკვირად, ტაშით შეხვდა ჩემს გამოჩენას. ამ აპლოდისმენტმა, კიდევ ერთხელ მაგრძნობინა ჩემი მდგომარეობის სიმძიმე. მახსოვს, ჩემი გამოსვლიდან ზოგიერთი წინადადება: „ბატონებო, მე ვაცნობიერებ, რომ ამ კოლექტივში ჩემზე ბევრად უფრო ტიტულოვანი და გამოცდილი ადამიანები არიან. ცხადია, ბევრი თქვენგანი შეძლებდა ამ ღირსეული კოლექტივის ხელმძღვანელობას. ამჯერად არჩევანი ჩემზე შეჩერდა. დღეიდან მე, თქვენი სახელოვანი კოლექტივის წევრი ვხდები. ჩამთვალეთ თქვენს მეგობრად, თანამდგომად... იმ კაცად, რომელიც ყოველთვის სამართლიანი იქნება“... და ა.შ. მახსოვს, რა გასუსული უსმენდა დარბაზი ჩემს გამოსვლას და ცერემონიის დამთავრების შემდეგ, როგორ ცდილობდნენ ჩემთვის ხელის ჩამორთმევას.

— ნაპოლეონ, შენ კოლექტივმა ღირსეულად მიგიღო, ეს უკვე გამარჯვებაა, — მითხრა გოგი ჟორჟოლიანმა.

მეამაყება, რომ 16-წლიანი რექტორობის მანძილზე, თუ არ ჩავთვლით დასაწყის პერიოდს, სამსახურიდან ჩემი ინიციატივით არავინ გამიშვია და მეტიც... თუ სტუდენტი „თვითონ არ შეუწყობდა ხელს“ ინსტიტუტის დატოვებას, მე ცელქობისთვის, უნებლიე გადაცდომისთვის, არც სოხუმში და შემდეგ არც თბილისში, არ გამირიცხავს. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ როდესაც 1990 წელს თბილისში „სასოფლოს“ რექტორად ამირჩიეს, სოხუმიდან ჩამოსული სტუდენტების და თანამშრომელთა უმრავლესობის თვალებზე ცრემლი შევნიშნე... არ ვაჭარბებ, ასე იყო და მეც, ძალიან განვიცადე სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივთან განშორება...

ბაგრატ შინქუბა...

აფხაზეთი არ იყო ისეთი, როგორიც თბილისიდან ჩანდა. რამდენიმე კვირით დასასვენებლად ჩასული კაცი, ვერც კი შეამჩნევდა იმ ბობოქარ სინამდვილეს, რომელიც დრო და დრო იფეთქებდა ხოლმე და თავისი შეურიგებლობით ბევრ თავსატეხს უჩენდა როგორც იქაურ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებას.

სოხუმში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე ვიგრძენი ის სუსხი, რასაც მოღვაწეობის 16 წლის მანძილზე მუდმივად ვგრძნობდი, თუმცა, ადგილობრივი ხელმძღვანელობა ჩემს დანიშვნას გაგებით მოეკიდა და მეტიც, თანადგომასაც კი იჩენდა ჩემს მიმართ.

მალე, სოხუმის ქართული ინტელიგენციის ყურადღების ცენტრშიც აღმოვჩნდი. დაიწყო ოჯახებში მიპატიჟებებიც. ჩემთან ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისელი მეგობრები, მათ შორის გურამ ფანჯიკიძე, ზაურ ბოლქვაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, კომპოზიტორი სულხან ცინცაძე და სხვები. ხშირად ვისხედით ჩემი ბინის ფართო აივანზე, რომელიც ზღვისკენ დაშვებულ ქუჩას გადაჰყურებდა. იყო შემთხვევები, როდესაც უცნობ ქართველებს დაურეკავთ თხოვნით: „ბატონო ნაპოლეონ, იქნებ თქვენი სტუმარი (ან სტუმრები) მასტუმროთ სახლში“! თბილისიდან ჩამოსულები, ხშირად სტუმრობდნენ აფხაზურ ოჯახებსაც, ეს მაშინ ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

და აი... ახალი წლის წინა დღეებში აფხაზეთის სახალხო პოეტმა და იმხანად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბაგრატ შინქუბამ მიმიწვია სტუმრად. რაც, ალბათ, ნიშნავდა, რომ ჩემი პიროვნების შესწავლა უკვე დამთავრებული იყო და ახლა „გამოცდა“ უნდა ჩამებარებინა.

მახსოვს, 20 თუ 22 დეკემბერი იყო, ზამთრის სუსხი ჩემს კაბინეტშიც აღწევდა, ამიტომ პალტომოხურული ვუჯექი სამუშაო მაგიდას, როდესაც სამთავრობო ტელეფონით აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ავთანდილ საყვარელიძემ დამირეკა:

— ნაპოლეონ, ბაგრატს ხომ არ დაურეკავს შენთვის?

— ბაგრატი ვინაა და რატომ უნდა დაერეკა?!

— დაიმახსოვრე, აფხაზეთში ერთი ბაგრატია, გვარად შინქუბა, დღეს მასთან ხარ ვახშამზე მიწვეული, ის თავად დაგირეკავს. 6 საათისთვის გამომიარე, ერთად წავიდეთ — მითხრა მან.

ცოტა დავიბენი. ასეთი დონის კაცთან სტუმრად მანამდე არ ვყოფილვარ. ხეირიანად არც აფხაზური სტუმარმასპინძლობის წესებს ვიცნობდი და რაც მთავარია, მისი არც ერთი ნაწარმოები წაკითხული არ მქონდა. მღელვარების დასაოკებლად კაბინეტში დავიწყე ბოლთას ცემა. ბედად, წიგნების კარადაში შინქუბას რომანს: „უკანასკნელი უბიხი“ მოვკარი თვალი... წიგნი სასწრაფოდ გამოვიღე და ფურცვლა დავიწყე, გარეკანზე შინქუბას სურათი და ბიოგრაფიაც იყო.

ავთანდილ საყვარელიძესა და გიორგი ჟორჟოლიანთან ერთად, დათქმულ დროს ვეწვიე ბატონ ბაგრატს. მასთან სტუმრად აფხაზეთის ხელისუფლების ელიტა იყო წარმოდგენილი. სასტუმრო ოთახში შესულს, დიდი ხნის ნაცნობივით შემხვდა პოეტი რევაზ მარგიანი, გადამკოცნა და საქებარი სიტყვებიც მითხრა. არ გამკვირვებია, მივხვდი რომ ბატონმა რევაზმა, თავისი მოფერებით, აფხაზების თვალში ჩემი ავტორიტეტი აამაღლა. როგორც გაირკვა, იგი ბაგრატ შინქუბასთან მეგობრობდა.

თამადად მასპინძელი დადგა. ერთი შეხედვით ჯმუხი კაცი, მჭევრმეტყველი თამადა და, რაც მთავარია, იუმორით უხვად დაჯილდოებული აღმოჩნდა. მისმა უშუალობამ უცებ მომიხსნა ის დაძაბულობა, რომელიც ასეთ სუფრებს ახლავს.

შინქუბამ უპირველესად, ბრეჟნევისა და პოლიტბიუროს სადღეგრძელოები შესვა, შემდეგ — საქართველოს კომპარტიისა და მისი „მოწინავე რაზმის“, აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის სადღეგრძელო, საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ხინთბას ხელმძღვანელობით. შეისვა რამდენიმე ტრადიციული სადღეგრძელოც და ჩემდა გასაკვირად, პერსონალური სადღეგრძელოები ჩემით დაიწყო, რამაც უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა... იქ ხომ სამსახურებრივი მდგომარეობით და ასაკით ჩემზე უფროსებიც იყვნენ?! დაძაბულობა გოგი ჟორჟოლიანმა „მომიხსნა“: „შენ ამ სახლში პირველად ხარ... ასეთია ამათი წესი“, — მითხრა მან.

— ბატონო რექტორო — მომმართა შინქუბამ ქართულად და მერე რუსულად გააგრძელა — აფხაზები ცნობისმოყვარენი ვართ. ჩვენთვის სულერთი არაა, თუ ვის გამოგვიგზავნის თბილისი... თანაც ისეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე, როგორიც რექტორობაა. თქვენ თბილისელი კაცი ხართ, იქ დაბადებული და გაზრდილი, გისწავლიათ მოსკოვშიც. აქ წამოსვლამდე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, კათედრას განაგებდით. როგორც მითხრეს, გქონდათ შეთავაზებები სამთავრობო და პარტიულ სტრუქტურებში, თქვენ კი აფხაზეთი აირჩიეთ... რატომ?! — მან პაუზა გააკეთა და შემომხედა — აფხაზეთი დასასვენებლად და დროის გასატარებლად კარგი ადგილია... სამუშაოდ და საქმის საკეთებლად კი ძალიან რთული. ჩამოსულთაგან ბევრმა აქაურ პრობლემებს ვერ გაუძლო და დაგვტოვა. გვაინტერესებს თქვენც ხომ არ დაგვტოვებთ?! გულახდილად გეტყვით, არ გვინდა, რომ ასე მოხდეს, ამ მოკლე დროში, ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეთ და ამას გეუბნებით სიამოვნებით. იმედია, ერთმანეთს პრობლემებს არ შევუქმნით... მინდა დაგარწმუნოთ ჩემს ღრმა პატივისცემაში. იმედია ოჯახსაც მალე ჩამოიყვანთ და გაგვაცნობთ, მინდა გადღეგრძელოთ და წარმატება გისურვოთ — თქვა და სასმისი მოსვა.

მადღეგრძელეს სხვებმაც, მათ შორის პროფესორმა ზურაბ ანჩაბაძემ, რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი და ჩემსავით თბილისიდან გამოგზავნილი იყო (მოგვიანებით ჩვენ, ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით და ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს).

დადგა სამადლობელის თქმის ჯერიც. მივხვდი, რომ იგი მოკლე და შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო. ფეხზე წამოვდექი, სასმისი ავიღე და ვთქვი:

— ბაგრატ ვასილის ძევ, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და თქვენს შესანიშნავ მეუღლეს, დღევანდელი საღამოსთვის. მადლობა უნდა გადავუხადო სუფრის წევრებს, კეთილი სურვილებისთვის. ჩემთვის დიდი პატივია ამ ოჯახში სტუმრობა. შევეცდები ვიყო თითოეული თქვენგანის ღირსეული პარტნიორი და თანამოაზრე, კეთილსინდისიერად ვაკეთო ის საქმე, რომელიც ჩამაბარეს... მინდა ვიყო თქვენი მეგობარი. რაც შეეხება ჩემს „გაქცევას“?! გულახდილად გეტყვით, რომ ამას არ ვაპირებ. — ვთქვი და სასმისი დავცალე.

მაგიდის წევრებმა, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით გადახედეს ერთმანეთს, მივხვდი რომ „გამოცდა“ ჩავაბარე.

გულახდილად ვიტყვი, რომ აფხაზეთში მუშაობის დროს ყოველთვის ვგრძნობდი ბაგრატ შინქუბას მხარდაჭერას და აშკარა სიმპატიებს.

შინქუბა თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა. ერთხელ ვისარგებლე იმით, რომ თბილისში ჩატარებულ „აფხაზეთის კვირეულს“ დაესწრო და მცხეთაში, მამისეულ აგარაკზე მივიპატიჟე. მასთან ერთად სტუმრად მივიწვიე მწერლები ირაკლი აბაშიძე, რევაზ მარგიანი, გურამ ფანჯიკიძე, ზაურ ბოლქვაძე, აკადემიკოსები: ალბერტ თავხელიძე, რეზო სალუქვაძე, ნოდარ ამაღლობელი.

კარგი ამინდი იყო და სუფრა აივანზე გავშალეთ. თამადობა ჩემს მეგობარს გურამ ფანჯიკიძეს ვთხოვე. ბატონი ბაგრატის თხოვნით, სუფრა ქართულად წარიმართა. საღამოს პირი იყო, როდესაც შინქუბამ, განსხვავებული სასმისი მოითხოვა, თვალი „ჰკრა“ ჯვრის მონასტერს და საქართველოს სადღეგრძელო შესვა: „კოლხთა და იბერთა მარადიულმა სიყვარულმა მოგვიყვანა დღემდეო“ — თქვა. შემდეგ მანქანებით ჯვრის მონასტერზე ავედით, ბაგრატმა ტაძარში სანთელი დაანთო... გამიკვირდა, იგი ხომ მუსლიმანი იყო?!

ბატონმა ირაკლიმ შეამჩნია ჩემი გაკვირვება, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: „ღმერთი ერთია“.

აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ, აღარ შევხვედრივარ ბატონ ბაგრატს. ბევრი მას, მაშინაც და დღესაც აფხაზი სეპარატისტების თავკაცად მიიჩნევდა. არ ვდავობ, შეიძლება ასეც იყო... თუმცა, ჩემთან ურთიერთობაში იგი არ ტოვებდა ქართველთმოძულე კაცის შთაბეჭდილებას. როგორც გავიგე, ქართულ-აფხაზურ სისხლიან კონფლიქტს, მან „უგუნურება“ უწოდა, დაგმო ომი და აფხაზეთს განერიდა.

ხალხთა შორის ურთიერთობებს, ბრძენი ადამიანები უნდა წყვეტდნენ, ისეთები... როგორებიც იმ საღამოს მცხეთაში მსტუმრობდნენ.

მოგონება, რომელიც შემოგთავაზეთ, ბაგრატ შინქუბასადმი პატივისცემამ დამაწერინა, თუმცა, არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს პათოსს სხვებიც გაიზიარებენ... არცაა გასაკვირი, დღეს ხომ მტრული სიტყვა უფრო ფასობს!?

ნაპოლეონ ქარქაშაძე

(გაგრძელება იძნება)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ნიჩბოსნობა

80 მონაწილე 6 ქალაქიდან

მცხეთელი ანი გვილავა ამჟამად აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვარჯიშობს, თუმცა სპორტული კარიერა ბაიდარათი დაიწყო. ამიტომ, გაიგო თუ არა, გლდანის ტბაზე ამ სახეობაში საქართველოს თასის მეორე ეტაპი თამაშდებაო, მაშინვე ასპარეზს მიაშურა და შეჯიბრებაში ჩაება: 200 მეტრზე ყველას აჯობა, 500 მეტრზე კი მცირედით ჩამორჩა დუშელ ეკა შაბურიშვილს, რომელიც 200 მეტრზე მეორე იყო. ორივე დისტანციაზე მე-3 ადგილები მის თანაგუნდელ მადონა ყარსიმაშვილს ხვდა.

საერთოდ, გლდანის ტბაზე თბილისის, მცხეთის, დუშეთის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის 80-მდე ნიჩბოსანი შეიკრიბა, რათა ბაიდარათი და კანოეთი საქართველოს თასის გათამაშების მე-2 ეტაპზე საპრიზო ადგილებისთვის ებრძოლათ. განსაკუთრებით მცხეთელმა ზაზა ნადირაძემ იყოჩაღა, რომელმაც კანოეთი ოთხი პირველი ადგილი დაიკავა. ასევე ოთხჯერ მიიჭრა ფინიშთან პირველი ბაიდარათი თბილისელი ბადრი ყაველაშვილი. რამდენჯერმე ავიდა კვარცხლბეკზე ნიკ მინდოდაური, რომელიც მშობლებთან ერთად ისრაელში ცხოვრობს, მაგრამ მალე საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ქვეყნის სახელით იასპარეზებს. სპეციალისტები მას წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ზემოთ დასახელებული სპორტსმენების გარდა, გლდანის ტბაზე გამოირჩნენ **ბაიდარათი:** გიორგი მარტოლეკი, ლევან სოსელია (ორივე – მცხეთა), გიორგი ელბაქიძე (დუშეთი), ნიკა პაიჭაძე (თბილისი), ლაშა კვაჭაძე, რომან ბრეგვაძე (ორივე – ფოთი), ნიკოლოზ მაღლაფერიძე, ზაურ ბერიძე, გიორგი გოგელაშვილი, ემზარ კიკალიშვილი (ყველა – ქუთაისი). **კანოეთი:** ვარლამ ნადირაძე, ვალერი პესტოვი (ორივე – მცხეთა), გიორგი შაბურიშვილი, მიხეილ ჭინჭარაშვილი (ორივე – დუშეთი), ოთარ კაკულია, ლერი კონჯარია (ორივე – ფოთი). ივნისის მეორე დეკადაში ისინი საქართველოს ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს.

ლეძსო ციცაძე

სურათზე: ვარლამ ნადირაძე ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ კალათბურთი

ძალოვანთა პირველი ნაბიჯი

„ოლიმპი“ ზედიზედ მეორედ თამაშობს სუპერლიგის ფინალში, მაგრამ მეტოქეს – შსს აკადემიის გუნდის ჭეშმარიტ შესაძლებლობათა გათვალისწინებით (შარშან – „არმია“), ალბათ წლეულსაც გაუჭირდება კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა.

შსს აკადემია – „ოლიმპი“ 79:71 (სერიის ანგარიში – 1:0)

ყველაზე შედეგიანები: ვონი (შსს აკადემია) – 21 ქულა; ბერიშვილი („ოლიმპი“) – 21 ქულა.

ძალოვანები მთელი შეხვედრის განმავლოაში წინ იყვნენ და დამსახურებულად მიიყვანეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე. სხვათა შორის, მათი დამრტყმელი ხუთეულის ოთხი წევრი ამერიკელია მაშინ, როცა მეტოქეს მხოლოდ ევროპელი ლეგიონერები ჰყავს. ეტყობა, ესეც საგულისხმო ფაქტია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭიდაობა

თურქული ალაფი

გორელი ფალავანი – ევროპის ორგზის ჩემპიონი დავით პოღოსიანი ვაჟებთან ერთად გოგონებსაც ავარჯიშებს. ერთ-ერთმა მისმა შეგირდმა – გვანცა კარელიძემ (38 კგ) ანტალიაში ჭაბუკ მოჭიდავეთა XVI საერთაშორისო ტურნირზე („ვიქტორიის თასი“) მეორე ადგილი დაიკავა, რაც ქართული სპორტის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. გვანცას გარდა, ქართველმა მოჭიდავეებმა ანტალიაში 15 მედალი მოიპოვეს, მათ შორის – 4 ოქროსი, ამდენივე ვერცხლისა და 7 ბრინჯაოსი.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლევან ქავჟარაძე (58) და გიორგი მელია (60). მხოლოდ ფინალები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ დავით ჩხარტიშვილი (50) და გიგა ქოქალაძე (85), ხოლო თორნიკე ჭელიძე (42), გიორგი კურტანიძე (54), გიორგი გუჯაბიძე (58), ნუკრი შავაძე (76) და ზვიად პატარიძე (100) მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ შმაგი თოდუა (46) და ტარიელ გაფრინდაშვილი (63). ვერცხლის მედლები გიორგი პასიკაშვილსა (50) და გივი მაჭარაშვილს (76) ხვდათ, რამაზ ზოიძე (58) და კონსტანტინე გაბაშვილი (85) კი ბრინჯაოს დაყაბულდნენ.

გივი გაგუა

◎ ტყვიის სროლა

ჩუბინთა მწირი გეოგრაფია

რამდენიმე წელიწადია, ქვეყნის მასშტაბით გამართულ ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებებში მხოლოდ თბილისელი და ქუთაისელი სპორტსმენები მონაწილეობენ. **ამჯერადაც ასე იყო: პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში საქართველოს ჩემპიონობას მხოლოდ ამ ორი ქალაქის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს, რადგან სხვა ქალაქებში ბაზების უქონლობის გამო სპორტის ეს სახეობა წარსულს ჩაბარდა.** ასპარეზობას ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის ტირმა უმასპინძლა. **ქალებში,** როგორც მოსალოდნელი იყო, ოლიმპიურ ჩემპიონს ტოლი არ ჰყავდა: 379 ქულით მან პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილებზე,ასევე, მისი კლუბის წევრები – თამილა ასათიანი (370) და მეგი ქადაგიძე (364) გავიდნენ. **ვაჟებშიც** საპრიზო ადგილები თბილისელებმა – ბესიკ სირაძემ (ასკ), ლევან ქადაგიძემ და ჯუმბერ ოქრუაშვილმა (ორივე – სალუქვაძის კლუბი) დაიკავეს.

ახალგაზრდებში ქუთაისელმა ლიზი კილაძემ იყოჩაღა – ოქროს მედალი დაიმსახურა. ვერცხლი და ბრინჯაო თბილისელებმა – ანა გაგილაძემ და მარიამ მაღრაძემ მოიპოვეს. **ბიჭებში** ჩემპიონობა მიხეილ სანიკიძეს ხვდა, მეორე იყო ნინო სალუქვაძის ვაჟი ცოტნე მაჭავარიანი, ბრინჯაო ივანე ჭანკვეტაძეს ერგო.

ლაშა დიდია

◎ სამგო

უჩემპიონოდ

ძართველი სამბისტები ნებისმიერი შეჯიბრებიდან ხელდამშვენებული ბრუნდებოდნენ, განსაკუთრებით – ევროპის ჩემპიონატიდან. ისინი არც იტალიური კრემადან, სადაც კონტინენტის პირველობა გაიმართა, ჩამოსულან ხელცარიელი – 7 მედალი ჩამოიტანეს, მაგრამ ჯილდოებში ოქრო არ ურევია. ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ), ნიკოლოზ კუცია (82) და ნოდარ მეტრეველი ((100) გადამწყვეტ პაექრობებში დამარცხდნენ და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, უშანგი კუზანაშვილი (62), კახა მამულაშვილი (74) და ლაშა გურული (100) კი მესამე ადგილებზე გავიდნენ. საგულისხმოა, რომ კუზანაშვილი და მეტრეველი ევროპის შარშანდელი ჩემპიონები არიან.

2012 წლის კონტინენტის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა შორენა შარაძემ (64). იგი ამჯერადაც ბრინჯაოს დაყაბულდა.

ნატა ნიბლაძე

◎ სტუდენტური სპორტი

მოამაგის საიუბილეოდ

სასწავლო წლის ფინიშზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მინიფეხბურთელთა ტურნირი გაიმართა, რომელიც გამოჩენილი ქართველი მედიკოსის, ამავე უმაღლესი სასწავლებლის სამედიცინო რეაბილიტაციის „კინეზოოთერაპიისა და სპორტული მედიცინის“ დეპარტამენტის ღვაწლმოსილი სპეციალისტის, პროფესორ რომანოზ სვანიშვილის დაბადების 85 წლისთავს მიეძღვნა.

საიუბილეო ასპარეზობა 20 გუნდის მონაწილეობით თვენახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა თსსუ სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდითა და სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის თანადგომით (ცენტრის დირექტორი – ზაურ ფხალაძე, მთავარი მსაჯი – ამავე ცენტრის თანამშრომელი, თსსუ საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე).

გაუწყებთ გადამწყვეტი მატჩების შედეგებს. **ნახევარფინალი:** კატენაჩიო – მორგი 5:3, ნიგერია – თბილისი სიტი 2:2 (პენალტებით – 4:3). **III ადგილისთვის.** თბილისი სიტი – მორგი 3:1. **ფინალი.** ნიგერია – კატენაჩიო 5:1.

აღსანიშნავია, რომ თსსუ პრორექტორი გია აბესაძესთან და ორგანიზატორებთან ერთად ტურნირის გამორჩეული მონაწილენი თვით იუბილარმა დააჯილდოვა საკუთარი წიგნებით „ფიზიკური დატვირთვა“ და „ორგანიზმის გაკაჟება“.

დასასრულს, გაგაცნობთ ინდივიდუალური პრიზების მფლობელთა ვინაობას: კრისტოფერ ეზე, კლიფორდ ინჯა, ვიტეს ამაცუ (ნიგერია), თენგიზ სისორდია, გიორგი ჭუმბურიძე, გიორგი პაიჭაძე, მირიან ჯიქია, გიორგი საღინაძე.

მანუჩარ გიორგაძე

◎ სპორტ-ბიზნესი

სახელსა და დიდებას ფულიც უხდება!..

მსოფლიოში უმდიდრეს სპორტსმენ ქალთა ყოველწლიური შემოსავლის ლომის წილი არა სპორტულ შეჯიბრებებში მიღებულ საპრიზო ჰონორარებზე, არამედ სხვადასხვა ცნობილი ბრენდის პროდუქციის რეკლამისგან მიღებულ თანხებზე მოდის. ჩოგბურთელი ქალები მარია შარაპოვა, ნა ლი, სერენა უილიამსი, კაროლინა ვოზნიაცკი, სხვები ყველაზე შემოსავლიან სპორტსმენთა სიაში სწორედ სარეკლამო კონტრაქტებით მიღებული თანხების წყალობით არიან მოხვედრილნი.



ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიური შემოსავლის მიხედვით ქალთა შორის №1 მარია შარაპოვა შარშან 27,9 მილიონით გამდიდრდა, წლის მანძილზე მიღებული თანხებით სპორტსმენთა, ასე ვთქვათ, გაერთიანებულ სიაში, სადაც მამაკაცებიც შედიან, იგი მხოლოდ 26-ე ადგილზე გავიდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, შარშანდელი მონაცემებით ამ გაერთიანებული სიის სათავეში მყოფი ამერიკელი მოკრივე **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს** (85 მილიონი დოლარი), რეკლამიდან... ერთი ცენტიც არ მიუღია! ამ ჯერჯერობით დაუმარცხებელმა პროფესიონალმა, რომელიც ქვემძიმე წონაში გამოდის, შარშან მხოლოდ ორი ორთაბრძოლა გამართა, რა დროსაც რინგზე საერთო ანგარიშით, საათზე ნაკლები გაატარა, რაშიც 85 მილიონი დოლარი მიიღო(!). „Forbs.com“-ის მონაცემებით, ეს თანხა გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ფლოიდი საკუთარი თავის პრომოუტერი თავადვე რომ არ ყოფილიყო – წინააღმდეგ შემთხვევაში მას საპრიზო თანხების განაწილება მოუწევდა.

უნდა ითქვას, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და რინგზეც ყოფაქცევის მხრივ ფლოიდი „წარჩინებული ოროსანია“, რითაც, როგორც ჩანს, აიხსნება რეკლამის დამკვეთთა შორის მისი არაპოპულარობა. თავად განსაჯეთ: შარშან მან ციხეში თითქმის სამი თვე დაჰყო ყოფილ მეგობარ ქალზე თავდასხმის გამო, რომლისგანაც... სამი შვილი ჰყავს(?!).

თუმცა სპორტსმენთა შორის არის კიდევ ერთი კაცი, რომელმაც თავისი აღვირახსნილი სექსუალური ქცევების გამო დიდი ზარალი ნახა. ესაა მსოფლიოს საუკეთესო გოლფისტი ამერიკელი **ტაიგერ ვუდსი**, რომელიც 12 წლის მანძილზე სათავეში ედგა „ფორბსის“ სიას. ცოლისთვის გაუთავებელმა ღალატებმა ის შედეგი მოუტანა, რომ სპონსორთა უმრავლესობამ მას ზურგი შეაქცია. ტაიგერისთვის ყველაზე სარფიან 2009 წელს მან 110 მილიონი დოლარი მოგება ნახა, მისმა შემოსავალმა „მხოლოდ“ 55 მილიონი დოლარი შეადგინა.

სპორტულ სამყაროში სპონსორთა ყველაზე შთამბეჭდავი ნუსხა შემოსავლით №5 შვეიცარიელ ჩოგბურთელ **როჯერ ფედერს** აქვს, რომელიც №3 ტაიგერ ვუდსს 10 მილიონით ჩამორჩება და 45 მილიონით „კმაყოფილდება“. „ფორბსის“ ნუსხის №2 და №4 არიან შესაბამისად ფილიპინელი მოკრივე **მენი პაკიაო** (მთლიანი შემოსავალი 62 მილიონი დოლარი, რეკლამა – 6 მილიონი დოლარი) და ამერიკელი კალათბურთელი **ლებრონ ჯეიმსი** (მთლიანი შემოსავალი 53 მილიონი დოლარი, რეკლამა – 40 მილიონი დოლარი).

გარდა ამ სპორტსმენებისა, მსოფლიოს უმდიდრეს სპორტსმენთა სიაში ასევე შედიან ამერიკელი კალათბურთელი **კობი ბრაიანტი** (52,3 მილიონი დოლარი, რეკლამა 32 მილიონი დოლარი), ამერიკელი გოლფისტი **ფილ მიკელსონი** (შესაბამისად, 47,8 და 43 მილიონი დოლარი), ინგლისელი ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემი** (46 და 39 მილიონი დოლარი), პორტუგალიელი ფეხბურთელი **კრიშტიანუ რონალდუ** (42,5 და 22 მილიონი დოლარი) და ამერიკელი ფეხბურთის მოთამაშე **ჰეიტონ მენინგი** (42,4 და 10 მილიონი დოლარი).

ირმა ირემაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვულოცავთ!

60 წელი შეუსრულდა თბილისის კიდევ ერთ კოლორიტულ პიროვნებას, ნაღდ ქალაქელს, უზომოდ კეთილშობილ და მეგობართა გვერდში მდგომს, სიყვარულითა და კაცობით გამორჩეულ ძმას და მეგობარს, ჩვენი სამეგობროს ღირსებასა და სინდისს **თემურ ბაბუნაშვილს.**

კაცმა მთელი ეს წლები სიკეთის თესვაში გაატარა, ვინაიდან იგი მოდის ოჯახიდან, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეულია თბილისში, თემური ღირსეულად ინახავს თავისი მშობლების ხსოვნას, ქართული ტრადიციებით უზრდის ქვეყანას თავის ანასა და გიორგის, არის ღირსეული მეუღლე და ოჯახის წინამძღოლი, დიდებული ძმა, ქართული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პრორექტორი და სრული პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის ღირსეულად მატარებელი.

ჩვენ, მისი მეგობრები, გულითადად ვულოცავთ თემურ ბაბუნაშვილს საიუბილეო თარიღს და დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გამრავლებას და კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის კეთებას ქვეყნის საკეთილდღეოდ მისთვის ჩვეული სიდარბაისლით.

გულითადი სიყვარულით მეგობრები

◎ კვირეული

გიწვევთ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი

მუზეუმების საერთაშორისო დღეს ეძღვნება კვირეული ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში, რომელიც „ღია კარის“ ფორმით მიმდინარეობს. ამ დღეს ყველა დამთვალიერებლისთვის უფასოა მუზეუმში მოხვედრა და სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა..

პირველ საღამოს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის სტუმრები იყვნენ: თბილისის 30-ე საჯარო სკოლის, ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 სახელოვნებო სკოლისა და ისნის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები. მათ წაიკითხეს ლექსები, იმღერეს, შეასრულეს კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები. სიგელი გადასცეს დირექტორ ჯული დანელიას.

მუზეუმის თანამშრომლებს მუზეუმების საერთაშორისო დღე მიულოცეს: მე-19 სახელოვნებო სკოლის დირექტორმა თამაზ მოლაშვილმა, ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ინგა გვეტაძემ, პოეტებმა: ჯუმბერ გოგრიჭიანმა, ქეთევან დოლიძემ, თამარ შაიშმელაშვილმა...

სახლ-მუზეუმის დირექტორის ნანა ელიზბარაშვილის თქმით, კვირის ბოლოს შეხვედრა გაიმართება ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან. „გამოიცა ძალიან საინტერესო წიგნი რომანტიზმზე, სადაც 15 ავტორის ნაშრომია გაერთიანებული და ქართული რომანტიზმი საინტერესოდ არის განხილული. მოგეხსენებათ, ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო რომანტიკოსი პოეტი, ჩვენ გვაინტერესებს ეს თემატიკა. წიგნში შესული ნაშრომები სულ სხვა ასპექტით არის წარმოდგენილი, არა ისე, როგორც გვასწავლიდნენ ამას ზოგადად სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და მანამდე მიჩვეულნი ვიყავით მკვლევარებისგან, არამედ, დაკავშირებულია რომანტიზმთან პოლონეთში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში... ჩვენთვისაც ბევრი რამ ახალია ამ წიგნში, მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების მთავარი მოვალეობაც და მიზანიც ეს არის — გავიტანოთ სკოლებში. ამ დღისთვის პედაგოგების მოწვევასაც ვგეგმავთ“, — დაასრულა ქალბატონმა ნანამ.

ნატა ნიბლაძე
ავტორის ფოტო.

◎ მოვლენის წინ

ვარსკვლავთცვენის კონცერები

კახი კალაძის ფეხბურთიდან გაცილების მატჩისთვის იტალიის „მილანის“ შემადგენლობა უკვე ცნობილია. როგორც მატჩის ორგანიზატორმა დავით მუჯირმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „მილანის“ შემადგენლობაში ითამაშებენ: ვალერიო ფიორე, სებასტიანო როსი, როკე ჟუნიორი, პაოლო მალდინი, ჯუზეპე ძამბროტა, იაპ სტამი, მასიმო ოდო, დარიო შიმიჩი, რუი კოშტა, მატეე ფლამინი, იბრაჰიმ ბა, კრისტიან ვიერი, ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი.

ამასთან, მუჯირის ინფორმაციით, ეს არ არის „მილანის“ საბოლოო შემადგენლობა, თუმცა, არსებითი ცვლილება შემადგენლობაში არ მოხდება.

მისივე განცხადებით, მატჩისთვის შეიძლება ჩამოვიდეს კაკაც, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, გამოიძახებენ თუ არა მას ბრაზილიის ნაკრებში.

რაც შეეხება სამუელ ეტოოს, იგი მზად იყო, მატჩში მიეღო მონაწილეობა, თუმცა, კლუბში თამაშის გამო ჩამოსვლას ვერ ახერხებს.

რაც შეეხება კალაძის მეგობრების გუნდს, მუჯირის განცხადებით, სრულად ჯერ არ არის დაკომპლექტებული, თუმცა, ცნობილია, რომ კალაძის მეგობრების გუნდში ითამაშებს ფაბიო კანავარო.

„გუნდი იქნება ინტერნაციონალური და მასში, ქართველი ფეხბურთელების გარდა, სხვა ეროვნების ფეხბურთელებიც ითამაშებენ. „მილანის“ მწვრთნელები იქნებიან კარლო ანჩელოტი და ჩეზარე მალდინი. რაც შეეხება კალაძის გუნდს, ალექსანდრე ჩივაძე და ფათიჰ თერიმი უხელმძღვანელებენ“, — აღნიშნა მუჯირმა.

კახი კალაძის გასაცილებელ მატჩზე ბილეთები „დინამო არენასა“ და მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში დღეიდან გაიყიდება. ფასი 5, 7 და 10 ლარი იქნება.

კახი კალაძის გასაცილებელი მატჩი „დინამო არენაზე“ 31 მაისს 20.30 საათზე დაიწყება. თბილისში მაღალი რანგის ოფიციალურ დელეგაციებსაც ელოდებიან.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭინჭარსიტყვა

ლარიწვია

დაუფასდეს, ვინაც გასცა საიდუმლო მიშას ნიხრის: თურმე ნაბეღლავის ლარსაც ბიუჯეტის ფულით იხდის! ...მარტო ამიტომაც გახლავს ღირსი ჩამომგდები წიხლის...

რამაზ ილმელი

საქართველოს ჰელსინკის კავშირი (ეროვნული აღორძინება) ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, დამსახურებული პედაგოგი (მათემატიკოსი), 9 აპრილის მონაწილე, დღედაღამ საქართველოზე მლოცველი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი

ნინო (ცარო) ილარიონის ასული ბურნაძე

კავშირის წევრები თანავუგრძნობთ ოჯახს.

ნუკრი ბაღდავაძე, ფირუზ დიაკონიძე, თამაზ დარახველიძე, თორნიკე ამაშუკელი, არჩილ თოდუა, ვაჟა, მანანა მოლაშვილები, კლარა ტონია, ზამირა წიძორიძე, მარი გუგეშაშვილი, ლალი ბარძიმაშვილი, თამაზ ზურაშვილი.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (SLRP II)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: P122204

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRP II/CS/SSS-04

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **პროექტის/კონტრაქტის მენეჯერის ასისტენტი**

ტენდერის სახეობა: **ერთ პირთან მოლაპარაკება**

კონტრაქტორი: **ფ/პ ლუკა მოსაშვილი**

მისამართი: **გ.ახვლედიანის №23**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **12 (თორმეტი) თვე**

Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Road Project (SLRP II)**

The project implementing agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: Georgia

Project Number: P122204

Bid/Contract Reference No: SLRP II/CS/SSS-04

Scope of Contract: **Assistant to project/contract manager**

Bid type: **Single Source Selection**

Contractor: **Luka Mosashvili**

Address: **G.Akhvlediani str. #23**

Total contract cost: **22,500 Gel**

Contract duration: **12 (twelve) months**

◎ ალიან-ჩალიანი

რა თანხა დაიხარჯა?..

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2013 წლის 1 იანვრიდან 11 აპრილის ჩათვლით პერიოდში განხორციელებულ სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებზე 486 582 ლარი, 5 987,72 აშშ დოლარი, 41 029 ევრო, 47 500 რუსული რუბლი და 9 750 შვეიცარული ფრანკი დახარჯა.

ამასთან დაკავშირებით სტატიას ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი აქვეყნებს, რომელმაც სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად გამოითხოვა.

IDFI-ის ინფორმაციით, სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ 99 550 ლარი გადაერიცხა ააიპ საქართველოს უსინათლოთა კავშირის საქმიანობისთვის; 61 714 ლარი მოხმარდა ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მონაწილეობას; 50 750 ლარით სამინისტრომ დაფარა პატრიარქის ეპისტოლეების ინგლისურ ენაზე გამოცემის ხარჯები. სამინისტრომ ასევე დააფინანსა სხვა ღონისძიებებიც, რომელთა დაფინანსებაც ცალკეულ შემთხვევაში არ აღემატება 20 000 ლარს.

— საინტერესოა, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მოგვაწოდა მათ მიერ დაფინანსებული ყველა ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა, გარდა პატრიარქის ეპისტოლეების ინგლისურ ენაზე გამოცემისათვის გადაცემული თანხისა, — აღნიშნულია სტატიაში.

ინტერპრესი

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი კარაბადინი

დაავადებათა დაავადება

მოხუცებულობის სენი, რომელიც ახალგაზრდობაში იწყება

ათეროსკლეროზს ზოგიერთი აღიქვამს არა როგორც დაავადებას, არამედ როგორც სიბერის ნიშანს, რასაც ვერ გაექცევი. ასეთი მიდგომა მცდარია.

ეს სერიოზული დაავადებაა, რომელსაც ბევრი „ნიღაბი“ აქვს. და იწყება იგი არა მოხუცებულობის დროს, არამედ ახალგაზრდა ასაკში. ამის შესახებ გვესაუბრება პროფესორი ნიკოლოზ ვასაძე.

— დასაწყისისთვის რამდენიმე საგანგაშო ციფრი. თითქმის ყველა ქვეყანაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა შედეგად გარდაცვლილთა დაახლოებით 75 პროცენტი გამოწვეულია ინფარქტებითა და ინსულტებით, რომელთა საფუძველში პრაქტიკულად ყოველთვის ათეროსკლეროზია.

კვლავ იგივე სისტემა

ეს სისხლძარღვთა სისტემური დაავადებაა. დაავადების აშკარა სიმპტომები ჩნდება, როგორც წესი, როდესაც ბალთა სისხლძარღვის საშუქის 70-80 პროცენტს კეტავს, ამ დროს ვითარდება იშემია — ჟანგბადიანი სისხლის არასაკმარი შემოდინება ამა თუ იმ ორგანოში. ამიტომ ათეროსკლეროზის სხვადასხვა გამოვლინებას იშემიურ დაავადებებს უწოდებენ. ყველაზე ხშირად არის გულის იშემიური დაავადება, რომლის დროსაც ზიანდება არტერიები, რომლებიც სისხლით გულის კუნთს ამარაგებენ. მას ბევრი გამოვლინება აქვს — სტენოკარდია, არითმია, გულის უკმარისობა, ინფარქტი.

ხშირად იტანჯებიან სისხლძარღვები, რომლებიც სისხლით ამარაგებენ ტვინს — ეს ტვინის იშემიური დაავადებაა. იმ სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, რომლებსაც მიაქვთ სისხლი საკვების გადამმუშავებელ ტრაქტთან, ნაწლავის იშემიური დაავადებაა, თირკმლების სისხლძარღვებისა — თირკმელების იშემიური დაავადება. ყველაზე მძიმე დაზიანებები ხდება იქ, სადაც სისხლის თანაბარი მიმდინარეობის ნაცვლად ხდება მისი ჩაგრიგალება, — ესაა არტერიების გაორების ან მათი ხვეულების ადგილი.

ავადმყოფობა პირველ 20-25 წელს მიმდინარეობს სიმპტომების გარეშე, თუმცა, სისხლძარღვების დაზიანება ჩნდება უკვე 25-30 წლებში — არტერიების შინაგან გარსზე იწყება ქოლესტერინის დალექვა. ესაა ეგრეთ წოდებული „ცხიმოვანი ლაქის“ სტადია. დროთა განმავლობაში ლაქები იზრდება, სქელდება, შემდეგ მათში ილექება კალციუმი, ვითარდება შემაერთებელი ქსოვილი. ეს არის სწორედ ათეროსკლეროტიკული ბალთები.

ტოტალური კონტროლი

თავად ბალთების მიერ სისხლძარღვების შევიწროვების გარდა, პრობლემების გაძლიერებაში თავის როლს ასრულებენ თრომბები. ისინი „იზრდებიან“ თავად ბალთაზე და იწვევენ ინფარქტებს, ინსულტებსა და ათეროსკლეროზის სხვა გართულებებს. მათი თავიდან ასაცილებლად საჭიროა წამლები, რომლებიც სისხლს უფრო თხევადსა და მიმდინარეს ხდიან.

მაგრამ ბრძოლის დაწყება ათეროსკლეროზთან საჭიროა ჯერ კიდევ პირველ სიმპტომებამდე, და კიდევ უკეთესი — არტერიების პირველ დაზიანებამდეც კი, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში ჩნდება. ამისთვის საჭიროა ვაკონტროლოთ რისკის ფაქტორები, რომლებიც დაავადების განვითარებას ეხმარებიან. უწინარეს ყოვლისა, ესაა მოწევა, ზედმეტი წონა, დაბალი ფიზიკური აქტივობა, სტრესები. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტორების თავიდან აცილებას. მაგალითად, მოწევაზე უარის თქმა თავისი ეფექტიანობით უპირისპირდება გულის იშემიურ დაავადებათა მკურნალობის თანამედროვე წამლების ერთხელ ან რამდენიმეჯერ მიღებასაც კი. ასაკთან ერთად ჩნდება რისკის ახალი ფაქტორები — გაზრდილი ქოლესტერინი, ჰიპერტონია, შაქრის დიაბეტი, და ისინიც უნდა ვაკონტროლოთ. ასე დაიცავთ თავს არა ინფარქტისგან ან ინსულტისგან, არამედ ათეროსკლეროტიკულ დაავადებათა მთელი „თაიგულისგანაც“.

მეტად მნიშვნელოვანია დაბლა დავწიოთ გაზრდილი ქოლესტერინი. მის ერთ მესამედს ჩვენ ვიღებთ საკვებთან ერთად, ორ მესამედს კი გამოიმუშავებს ღვიძლი. ქოლესტერინის შემოსევა რომ შევამციროთ, ნაკლები უნდა ვჭამოთ ცხოველური ცხიმები. კვირაში ორჯერ აუცილებელია ზღვის თევზი ცივი ზღვებიდან, უმჯობესია უცხიმო, და ყოველდღე სულ ცოტა 500 გრამი ხილი და მწვანილი. შეიძლება დავლიოთ ერთი ბოკალი მშრალი ღვინოც.

ღვიძლში ქოლესტერინის სინთეზის დასაწევად არის წამლების ორი ჯგუფი. უფრო ხშირად ნიშნავენ სტატინებს, დღეს მათი ოდენობა დაახლოებით 20, მაგრამ ყოველმხრივ შესწავლილია და მათგან დაადასტურეს კიდეც თავიანთი ეფექტიანობა ოთხმა. ესენია — სიმვა, პრავა, ათორვა და როზუვასტატინი. ისინი ამუხრუჭებენ ბალთების პროგრესს, ზოგიერთი კი ამცირებს კიდეც მათ, თითქოს ნაოჭდებიანო. ფიბრატების ჯგუფიდან ყველაზე რაციონალურია კლოფიბრატი და ფენოფიბრატი. ჩვეულებრივად ამ პრეპარატებს კარდიოლოგები ნიშნავენ, მაგრამ ისინი უნდა გამოწერონ ნევროლოგებმაც ტვინის იშემიური დაავადების, სხვა სპეციალობის ექიმებმაც ათეროსკლეროზის სხვა სახეობათა დროს.

ამჟამად ფართოდ იყენებენ ქირურგიულ მკურნალობას, კვეთენ ბალთებს, აფართოებენ სისხლძარღვებს და მათში სვამენ სტენტებს. ესაა სისხლდენის ადგილობრივი აღდგენა, და არა წამლების ალტერნატივა — ათეროსკლეროზის განვითარების მექანიზმი ხომ შენარჩუნებულია ოპერაციის შემდეგაც, ამიტომ საჭიროა მათი კორექტირება, რომ დავამუხრუჭოთ დაავადების პროგრამა. მაშასადამე, ოპერაციის შემდგომაც კი ასეთი მკურნალობა აუცილებელია.

ᲘᲜᲡᲣᲚᲢᲘ

◎ ინსულტი

ციფრებსა და ფაქტებში

ინსულტი — ესაა ტვინის სისხლის მიმოქცევის მოულოდნელი დარღვევა, რასაც ტვინის ქსოვილთა დაზიანებასთან და ამ ორგანოს მუშაობის მოშლასთან მივყავართ.

ძლიერი თავის ტკივილი, გულის რევა, გონების დაკარგვა — დაახლოებით ასე გვაცნობს თავს ტვინის ინსულტი.

თავის ტვინის 1,9 მილიონ უჯრედს კარგავს ადამიანი, რომელმაც ინსულტი გადაიტანა, ერთ წუთში სამედიცინო დახმარების გარეშე.

3 საათი (მაქსიმუმ 6 საათი) გამოყო ბუნებამ ეფექტიანი მკურნალობისთვის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის მომენტიდან.

ავადმყოფების 30 პროცენტს განმეორებითი იშემიური ინსულტი უჩნდება პირველის შემდეგ 5 წლის განმავლობაში.

ინსულტი ელვისებურად „ახალგაზრდავდება“ — დღევანდელ დღეს ის შეიძლება თავს დაატყდეს 30-40 წლის ადამიანებსაც კი.

2-ჯერ ზრდის ინსულტის გაჩენის რისკს მაგარი სპირტიანი სასმელების მიღება ნახევარ ჯიქაზე მეტი დოზის ოდენობით.

ზღვის პროდუქტების მუდმივი მიღება მნიშვნელოვნად ამცირებს ინსულტის რისკს, რაც სტატისტიკამ დაადასტურა.

ინსულტის რისკს საშუალო და ხანდაზმული ასაკის ქალებში 30 პროცენტით ამცირებს ყოველდღიური ენერგიული ფეხით სიარული. მაგრამ არ შეიძლება გადაღლა, ზედმეტი ტვირთი — სისხლძარღვთა, მათ შორის ინსულტის, დაავადებებისკენ პირდაპირი გზაა.

ჰაერის ტემპერატურის დაწევა გავლენას ახდენს სისხლის შედედებაზე, ზრდის თრომბის წარმოქმნისა და ინსულტის გაჩენის რისკს.

იმ ავადმყოფთა დაახლოებით 10 პროცენტი, ვინც ინსულტი გადაიტანა, ხდება გარედან დახმარებაზე დამოკიდებული. მხოლოდ 20 პროცენტი უბრუნდება თავის წინანდელ სამუშაოს.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში 70 პროცენტით შემცირდა სიკვდილიანობა ინსულტისგან როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში.

15-20 მილიარდ დოლარს წელიწადში აღწევს ხარჯები ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ავადმყოფების მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის, რომლებმაც ინსულტი გადაიტანეს.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი გაზეთებიდან

რა პაროლებით ყიდდნენ აფთიაქები ფსიქოტროპულ პრეპარატებს

წინა კვირას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე 20 შპს-ს ხელმძღვანელი პირი გამოავლინეს. გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისში მდებარე აფთიაქებში, ფსიქოტროპული მედიკამენტები სისტემატურად იყიდება შესაბამისი რეცეპტის გარეშე. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით.

„ᲐᲚᲘᲐ“

„ბურჯანაძის მთავარი კონკურენტი მარგველაშვილი იქნება“

— ასე ფიქრობს „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი ირაკლი ბათიაშვილი, — ახლა ქვეყანას სჭირდება კვალიფიციური, გამოცდილი პოლიტიკური ფიგურა პრეზიდენტის პოსტზე და ასეთია ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. ნინოს პრეზიდენტად ყოფნა ნიშნავს, რომ უფრო ენერგიულად მოხდება მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა. იგი იქნება პრეზიდენტი, რომელიც მთავრობას ხელს შეუწყობს.

„რეზონანსი“

„17 მაისს პოლიციას უფლებებისთვის არ გადაუმეტებია“

კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი დავით ლილუაშვილი ნაციონალების აპოლოგეტ ვაი უფლებებდამცველებს, რომლებიც გრანტების მისაღებად ყელაფერზე წავლენ, სასულიერო პირების პასუხისგებაში მიცემაზე აპელირებისგან თავის შეკავებას ურჩევს. ამასთან, ლილუაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსთაველზე გარყვნილების პროპაგანდისთვის გამოსული ადამიანები ნაციონალებისა და „თავისუფალი ინსტიტუტის“ ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. ამ დღეს პოლიციის მხრიდან უფლებების გადამეტება არ მომხდარა.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ კადრი

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ!
ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲚᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲠᲔᲑᲝ!

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა, ეკონომიკის მეცნიერებათა და პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიები 2013 წლის 24 მაისს 13 საათზე საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის სააქტო დარბაზში (ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №45, მე-6 სართული) მართავენ აკადემიკოს **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲚᲐᲨᲮᲘᲐᲡ** ეკომონოლოგიურ ესსეის:

„ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲒᲐᲓᲐᲛᲠᲩᲔᲚᲘ — ᲰᲣᲛᲐᲜᲣᲠᲘ“

დასწრება თავისუფალია, ზემოაღნიშნული აკადემიების წევრების გარდა, აგრეთვე, ყველა იმათთვის, ვისაც თან ექნება პირადობის მოწმობა.

ფორუმის კოორდინატორები:
აკადემიკოსები:
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲣᲭᲣᲮᲘᲫᲔ,
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔ.

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

— ყველაზე დიდი შეცდომის ჩადენა მინდოდა, მაგრამ იმ ნამდვილმა ქაჯმა ყურმილი არ აიღო.

* * *

— სად აპირებ დასასვენებლად წასვლას?
— ჩემი ბიუჯეტი ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე, რომ არ დავღლილვარ.

* * *

— სამ დიეტაზე ვზივარ, ერთს არ ვენდობი.

ᲡᲝᲩᲘᲡ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ყველაფრის მასშტაბურად წარმოჩენა გადაწყვიტეს, და ოლიმპიური ჩირაღდნის ნაცვლად ორი კვირა ადლერი ენთება.

* * *

ᲔᲠᲗᲘᲡᲫᲔᲡᲘᲐᲜᲗᲐ ქორწინების დაშვების შემდგომ, ადამიანს, ვისაც პიროვნების გაორება სჭირს, თავის თავზე დაქორწინება შეუძლია.

* * *

ᲫᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ ადვილია ჭადრაკის თამაში, რადგან ისინი მარტო თავიანთ ფიგურას ადევნებენ თვალყურს.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
ᲡᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲒᲣᲚᲘᲐ 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com